ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 185

ქალაქი ქუთაისი 26 ივნისი 2019 წელი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანების“ ინფორმაცია გაწეული მუშაობის შ ე ს ა ხ ე ბ

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო აღნიშნავს, რომ მ/წლის 26 ივნისს „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 იანვრის №135 განკარგულების შესაბამისად, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ქალაქ ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანების“ ინფორმაცია მიმდინარე მოწვევის პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24–ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტის, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №1 დადგენილების დანართის მე–3 მუხლის მე–4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე:

მუხლი 1. შეფასდეს დადებითად არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანების“ ინფორმაცია გაწეული მუშაობის შესახებ.

(ინფორმაცია წინამდებარე განკარგულებას თან ერთვის)

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა № 11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე,
საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის
შემსრულებელი ირაკლი შენგელია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2019 წლის 26 ივნისის №185
განკარგულების დანართი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანების“ ინფორმაცია გაწეული მუშაობის შესახებ

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ქალაქ ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანება“ მნიშვნელოვანი სტრუქტურული ერთეულია მისი ფუნქციით. როგორც თქვენთვის ცნობილია, გაერთიანება მოიცავს 18 ფილიალს, მათ შორის ცენტრალურ სამუსიკო სასწავლებელს, 4 სამუსიკო სკოლას, 6 მუზეუმს, სამხატვრო სკოლას, ფოლკლორისა და ხელოვნების სასწავლებლებს, მოსწავლე–ახალგაზრდობის სასახლეს, კულტურის ცენტრს, მოსწავლე–ახალგაზრდობის პარკს და ბოტანიკურ ბაღს.

ჩვენს ძირითად ამოცანას წარმოადგენს აღნიშნული ფილიალების გამართულად ფუნქციონირებისათვის ხელისშეწყობა, სასწავლო პროცესის ნორმალურად წარმართვა, ნორმალური და მიმზიდველი გარემოს შექმნა გაერთიანებაში შემავალ ყველა ფილიალში, მოსწავლეებისათვის სწავლების პროცესის სრულყოფა, ახალი საგანმანათლებლო პროგრამების, მეთოდების, საშუალებების მოძიება, ფილიალების მატერიალურ–ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება.

გაერთიანებაში 2017 წელს დასაქმებული იყო 679 თანამშრომელი, 2018 წელს მოხდა ბოტანიკური ბაღისა და მოსწავლე–ახალგაზრდობის პარკის შემოერთება. ამჟამად, თანამშრომელთა რაოდენობა შეადგენს 750–ს. 2017–2018 სასწავლო წელს მოსწავლეთა კონტიგენტი შეადგენდა 2937–ს, 2018–2019 სასწავლო წლებში 3454–ს, რაც 517 მოსწავლით მეტია წინა სასწავლო წელთან შედარებით. დაფინანსება ბიუჯეტიდან 2018 წელს შეადგენდა 3685 900 ლარს, 2019 წელს 4 150 000 ლარს.

მნიშვნელოვანია, რომ ამ ეტაპზე დაგეგმილია სახვითი ხელოვნების გალერეის რეკონსტრუქცია და უკვე მიმდინარეობს მუშაობა შესაბამისი პროექტის შექმნაზე. მთავრობის წინაშე დასმულია საკითხი მძიმე მდგომარეობაში არსებული მოსწავლე–ახალგაზრდობის სასახლისათვის ალტერნატიული შენობის მოძიების შესახებ. ჩვენ მიერ მომზადდა პროექტი ხელოვნების სკოლისა და ფოლკლორის სასწავლებლის შენობების კაპიტალური შეკეთებისათვის, მთავრდება რეზო ჩხეიძის სახელობის შემოქმედებითი სახლის „ჯარისკაცის მამა“ რეკონსტრუქციის პროექტი.

მიზნად გვაქვს დასახული ჯერ მუსიკალურ სკოლებში და შემდეგ ეტაპზე, მუზეუმებში გათბობის სისტემის დამონტაჟება. გვაქვს მძიმე მდგომარეობა ინვენტარის მხრივ და მიმდინარეობს მუშაობა აღნიშნული საკითხის მოსაწესრიგებლად. მოსაწესრიგებელია მუზეუმების გამწოვი ვენტილიაციისა და ჰაერის კონდიცირების სისტემის საკითხი.

ფოტო–კინო მატეანეს მუზეუმს არ აქვს გამოყოფილი ფონდსაცავი, ამიტომ მოკლე დროში ვცდილობთ დავამონტაჟოთ ანტრესორი, რომ გადავარჩინოთ უნიკალური ფოტო არქივი.

მომავალი წლისათვის კულტურის ცენტრში დაგეგმილი გვაქვს მოვაწესრიგოთ დარბაზის აკუსტიკა, სტანდარტების შესაბამისობით მოხდეს სკამების დამატება მაყურებელთა რაოდენობის გაზრდის მიზნით და მოწესრიგდეს არსებული შენობა. კულტურის ცენტრი ერთ–ერთი მნიშვნელოვანი კერაა ქალაქში, სადაც მთელი წლის მანძილზე ნიღბების თეატრის წარმოდგენების გარდა, უამრავი ღონისძიება იმართება საბავშვო ბაღების, სკოლებისა და სხვა ორგანიზაციების მიერ.

მიმდინარე მოწვევის პერიოდში ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით, ფილიალებში განხორციელდა სხვადასხვა სახის სამუშაოები, კერძოდ:

მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სასწავლებლის სამასწავლებლოს, სამ სასწავლო და ხელმძღვანელის მოადგილის ოთახებს ჩაუტარდა კაპიტალური რემონტი, შეიცვალა შემომავალი წყალგაყვანილობა, ჩატარდა სხვადასხვა სახის მცირე ტექნიკური სამუშაოები.

მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის № 1 სამუსიკო სკოლის დარბაზში შეიცვალა ელექტრო გაყვანილობა, მოეწყო ახალი სცენა ბეტონის ახალ მოჭიმვაზე და დაიგო ლამინატის საფარი, მოხდა არსებული წყლის ავზის რემონტი.

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის № 2 სამუსიკო სკოლის ბიბლიოთეკას ჩაუტარდა კაპიტალური შეკეთება, შესრულდა ცენტრალური გათბობის სარემონტო სამუშაოები, ფეხითმოსიარულეთათვის მოეწყო საფეხმავლო ბილიკი.

ზურაბ ანჯაფარიძის სახელობის № 3 მუსიკალურ სკოლაში გარემონტდა და შეიღება სკოლის ღობე, მოხდა სველ წერტილებში სხვადასხვა ტექნიკური დაზიანებების აღმოფხვრა.

ნოდარ გაბუნიას სახელობის № 4 მუსიკალურ სკოლაში ნაწილობრივ გამოიცვალა ელექტრო გაყვანილობა, სასწავლო –სამეცადინო ოთახი შეკეთდა კაპიტალურად.

მოსწავლე–ახალგაზრდობის სასახლეში მობათქაშდა და შეიღება ფოიე, კაპიტალურად გაკეთდა დირექტორის კაბინეტი და მისაღები ოთახი, საჭადრაკო ოლიმპიადასთან დაკავშირებით მოხდა დარბაზის შეღებვა.

გიორგი მაისურაძის სახელობის სამხატვრო სკოლის სველ წერტილებში შეკეთდა წყლის გაყვანილობა, ცენტრალური ელექტრო მომარაგებიდან გამოყვანილ იქნა ახალი გადამცემი ხაზი.

გიორგი დარახველიძის სახელობის ხელოვნების სკოლის დარბაზში დაიგო იატაკის ახალი საფარი.

აკაკი ვასაძის სახელობის ფოლკლორის სახელოვნებო სასწავლებელში კაპიტალურად გაკეთდა საკლასო სამეცადინო ოთახი.

ზურაბ ჯავახაძის სახელობის სპორტის მუზეუმში შეიცვალა ელექტრო გაყვანილობა და განათება, გაკეთდა საგამოფენო ვიტრინა, გამოიცვალა არსებული საგამოფენო ვიტრინების ჭერი. საბრძოლო დიდების ეროვნულ მუზეუმში მოხდა შესასვლელის კაპიტალური შეკეთება.

დავით კაკაბაძის სახელობის სახვითი ხელოვნების გალერეაში გაკეთდა ოთხი ოთახის კაპიტალური რემონტი, მოხდა ელექტრო გაყვანილობის ნაწილობრივ შეკეთება, ეზოს პერიმეტრზე არსებული ჭიშკრისა და ღობის შეღებვა, ადაპტირდა ორი ფონდსაცავი ოთახი. შესაძლებლობის ფარგლებში მოწესრიგდა „სტელაჟები“.

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის მემორიალური სახლ–მუზეუმის აივანსა და კულტურის ცენტრის სცენაზე ნაწილობრივ შეიცვალა ხის იატაკი.

შემოქმედებით სახლში „ჯარისკაცის მამა“ დამონტაჟდა წყალგაყვანილობის სისტემა, დაიდგა ახალი წყლის ავზი, წყლის ტუმბო, დამონტაჟდა წყლის გამათბობელი, სველ წერტილში შეიცვალა სანტექნიკა, მოხდა არსებული იატაკის საფარის მოხეწვა და შესასვლელი ოთახის კაპიტალური რემონტი.

გაერთიანების ადმინისტრაციაში შეიღება ოთახები და ჩატარდა სხვა ტექნიკური სამუშაოები.

ბოტანიკური ბაღის ორანჟერეაში მოეწყო ცენტრალური გათბობის სისტემა, ამოქმედდა ახალი ორანჟერეა, ბაღში განახლდა ვიდეო–სათვალთვალო სისტემა, შევიძინეთ მინი ტრაქტორი, ორი ბენზოცელი, გაზონის სათიბელა, სხვა ინვენტარი.

მოსწავლე–ახალგაზრდობის პარკში მოხდა საზაფხულო სცენის ნაწილობრივ რემონტი, შეკეთდა გასართობი ატრაქციონი, მოეწყო ვიდეო–სათვალთვალო სისტემა. ძელსკამებზე შეიცვალა დაზიანებული ხის ძელაკები. გაიწმინდა და მოწესრიგდა სანიტარული კვანძი.

გარდა ზემოჩამოთვლილი სამუშაოებისა, აღსანიშნავია, რომ შემოქმედებით სახლს „ჯარისკაცის მამა“ შევუძინეთ თანამედროვე პროფესიონალური ხარისხის ვიდეო კამერა. ახალგახსნილი საგალობლების

განყოფილებისათვის და ცენტრალური სამუსიკო სასწავლებლისათვის შევიძინეთ რამდენიმე ინსტრუმენტი, ზამთრის პერიოდში ფილიალები, სადაც არ არის გათბობის სისტემა დამონტაჟებული, მოვამარაგეთ ელექტროღუმელებით, მატერიალურ–ტექნიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ქალაქის ხელმძღვანელობა გვერდით უდგას გაერთიანებას და მის ფილიალებს.

უახლოეს პერიოდში შესაძენია ხალხური საკრავები საგალობლების განყოფილებისათვის. მნიშვნელოვანია, რომ 2018 წლის 16 აგვისტოს ზაქარია ფალიაშვილის სახელობის მემორიალური სახლ–მუზეუმის განვითარების მიზნით, მემორანდუმი გაფორმდა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოსა და ჩვენს გაერთიანებას შორის. აქვე აღსანიშნავია პოლონეთის საელჩოს აქტიურობა მუზეუმის მხარდაჭერის მიზნით.

მემორანდუმის ფარგლებში კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს მხარდაჭერით მოხდა უძველესი ევროპული საკრავების რესტავრაცია მათი აჟღერების მიზნით. სააგენტო მუშაობს მთლიანად მუზეუმის რეკონსტრუქციის საკითხზე.

ჩვენი ფილიალები აქტიურად თანამშრომლობენ და ერთობლივ ღონისძიებებს ატარებენ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტთან. უახლოეს პერიოდში ვგეგმავთ უნივერსიტეტსა და გაერთიანებას შორის მემორანდუმის გაფორმებას.

აღსანიშნავია, რომ იმერეთის სახელმწიფო რწმუნებულის ეგიდით, ჰუმანიტარული აქციის ფარგლებში, ცენტრალურ სამუსიკო სასწავლებელს სახელმწიფო რწმუნებულმა და ფრანკფურტის აღმოსავლეთ ევროპულ–გერმანული ასოციაციის პრეზიდენტმა ეკონომიკისა და კულტურის დარგში, საჩუქრად გადაცა მუსიკალური საკრავები.

სამუსიკო სასწავლებლის აღსაზრდელებმა მონაწილეობა მიიღეს საქართველო–ბრანდერბურგის საზოგადოების გაცვლითი პროგრამის „მუსიკა როგორც ენა კულტურათა შორის“ კონცერტში, როგორც ქუთაისში, ასევე გერმანიაში.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურებთან და სხვა ორგანიზაციებთან ერთად გაერთიანებამ თავისი წვლილი შეიტანა სხვადასხვა ღონისძიებების წარმატებით განხორციელებაში. ამის დასტურია თუნდაც ქუთაისში ჩატარებული საოპერო ფესტივალი, კომპოზიტორ კახა ცაბაძის საიუბილეო საღამო ფერების ფესტივალი, „თიბისი“ ბანკის საგამოფენო სივრცეში სხვადასხვა გამოფენების მოწყობა, მსოფლიო სცენის ვარსკვლავის იანო ალიბეგაშვილის და ინსტრუმენტული ანსამბლის ,,DEL–ARTE-ს“ კონცერტი და სხვა. ნაყოფიერია გაერთიანების თანამშრომლობა იმერეთის ოლიმპიურ კომიტეტთან, მერიის მიერ დაფუძნებულ სხვა სამსახურებთან. განსაკუთრებით მჭიდრო ურთიერთობა გვაქვს მერიის ადმინისტრაციულ სამსახურთან და სხვა სამსახურებთან. კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილებასთან, გაერთიანების პროფილის სხვადასხვა სასწავლო და სკოლისგარეშე დაწესებულებებთან ქვეყნის მაშტაბით.

ქვემოთ მოცემულია იმ ღონისძიებების არასრული ჩამონათვალი, რომლებიც განხორციელდა გაერთიანების ფილიალების მიერ მიმდინარე მოწვევის პერიოდში.

მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ცენტრალური სასწავლებელი

2018–2019 სასწავლო წელი, ისევე როგორც წინა წლები, ნაყოფიერი იყო მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სასწავლებლისათვის. მიმდინარე წელს აღინიშნება სასწავლებლის 100 წლის იუბილე, რომელსაც მიეძღვნა წლის განმავლობაში ჩატარებული ყველა ღონისძიება. საიუბილეო კონცერტებში მონაწილეობა მიიღეს, როგორც სასწავლებლის მოსწავლეებმა, ასევე კურსდამთავრებულებმა.

კონკურსები:

ფ.შოპენის სახელობის კონკურსი (თბილისი) – ლიზი ბასილაძე (ფორტეპიანო, პედაგოგი ანჟელა დოლაბერიძე) – III პრემია და მიწვევა პოლონეთში, შოპენის სახელობის ფესტივალზე.

თ.ახობაძის სახელობის საერთაშორისო კონკურსი – ეკატერინე ნიკოლაძე (ფორტეპიანო, პედაგოგი ლედა კანკავა) – III ადგილი და პრემია 200 ლარი.

პროექტი „გზა კარნეგი ჰოლისაკენ“ – სოფიო გიორგაძე (ვიოლინო, პედაგოგი ხათუნა ჯიმშელეიშვილი, კონცერტმაისტერი გიორგი რევიშვილი) – 100 %–იანი დაფინანსება .

პროექტი „გზა კარნეგი ჰოლისაკენ“ – ნიკა ნიქაბაძე (ფორტეპიანო, პედაგოგი ლედა კანკავა) – 50%–იანი დაფინანსება.

პროექტი „გზა კარნეგი ჰოლისაკენ“ – მარიამ კუჭავა (სოლო სიმღერა, პედაგოგი ლუბა ლომაკინა, კონცერტმაისტერი ირმა სინაურიძე), ანი ანაკიძე (ვიოლინო, პედაგოგი დარეჯან ფურცხვანიძე, კონცერტმაისტერი ლიკა ჯოჯუა), ეკა ნიკოლაძე (ფორტეპიანო, პედაგოგი ლედა კანკავა) – მიწვეული არიან ამერიკაში, სექტემბრის თვეში.

ამერიკის საერთაშორისო კონკურსი – მოსმენა ჩაატარა ამერიკაში მოღვაწე პიანისტმა, მერაბ ებრალიძემ. პირველი ტურის წარმატებულად გადალახვისა და შერჩევის შედეგად 100%–იანი დაფინანსებით ამერიკაში გაემგზავრნენ და მაყურებლის წინაშე 40 წუთიანი სოლო პროგრამით წარდგნენ სასწავლებლის მოსწავლეები: ლიზი ბასილაძე (ფორტეპიანო, პედაგოგი ანჟელა დოლაბერიძე) და გვანცა ბუცხრიკიძე (ვიოლინო, პედაგოგი ეკა გიორგაძე, კონცერტმაისტერი კესო ზვიადაძე).

საერთაშორისო კონკურსი თურქეთის ქალაქ ალანიაში – ნიკა ნიქაბაძე (ფორტეპიანო, პედაგოგი ლედა კანკავა) – III პრემია.

საერთაშორისო კონკურსი თურქეთის ქალაქ სიდეში – ნიკა ნიქაბაძე (ფორტეპიანო, პედაგოგი ლედა კანკავა) – III პრემია.

ახალგაზრდა მუსიკოს–შემსრულებელთა საერთაშორისო კონკურსი „პატარა ვირტუოზი“ – ბუბა ჩხიკვაძე (ფორტეპიანო, პედაგოგი მარინა გურული) – I პრემია.

ახალგაზრდა მუსიკოს–შემსრულებელთა საერთაშორისო კონკურსი „პატარა ვირტუოზი“ – ლილე ზვიადაძე (ფორტეპიანო, პედაგოგი მარინა გურული) – I პრემია.

ახალგაზრდა მუსიკოს–შემსრულებელთა საერთაშორისო კონკურსი „პატარა ვირტუოზი“ – მარიამ ავალიანი (ფორტეპიანო, პედაგოგი ანჟელა დოლაბერიძე) – I პრემია.

ახალგაზრდა მუსიკოს–შემსრულებელთა რესპუბლიკური კონკურსი „მომავლის ვარსკვლავი“ – ბაია ბერიშვილი და მარიამ კუჭავა (სოლო სიმღერა, პედაგოგი ლუბა ლომაკინა, კონცერტმაისტერი ირმა სინაურიძე) – მიწვეულნი არიან იტალიაში, საერთაშორისო კონკურსზე.

ახალგაზრდა მუსიკოს–შემსრულებელთა რესპუბლიკური კონკურსი „მომავლის ვარსკვლავი“ – კონსერვატორიაში, გალა კონცერტზე დაკვრის პატივი ერგოთ სასწავლებლის მოსწავლეებს: ელენე გიგანს (ფორტეპიანო, პედაგოგი ქეთევან ცხვედიანი), ბუბა ჩხიკვაძესა (ფორტეპიანო, პედაგოგი მარინა გურული) და მარიამ ჟორჟოლიანს (ფორტეპიანო, პედაგოგი ანჟელა დოლაბერიძე).

კონკურსი „იპოვე ვარსკვლავი“ – მარიამ კუდუხოვა (ფორტეპიანო, პედაგოგი თ.ქორქოსაძე) – I პრემია და ოქროს მედალი, მარიამ ტყაბლაძე (ფორტეპიანო, პედაგოგი თ.ქორქოსაძე) – III პრემია და ბრინჯაოს მედალი.

კონკურსი „იპოვე ვარსკვლავი“ – მარიამ ლიბრაძე (ფორტეპიანო, პედაგოგი სოფიო ბოჭორიშვილი) – II პრემია და ვერცხლის მედალი.

კონკურსი „იპოვე ვარსკვლავი“ – ნინო ჟორჟოლიანი (ვიოლინო, პედაგოგი დარეჯან ფურცხვანიძე, კონცერტმაისტერი ლიკა ჯოჯუა) – I პრემია და ოქროს მედალი, მარიამ ტყაბლაძე (ვიოლინო, პედაგოგი დარეჯან ფურცხვანიძე, კონცერტმაისტერი ლიკა ჯოჯუა) – I პრემია და ოქროს მედალი, თეკლა დოგრაშვილი (ფორტეპიანო, პედაგოგი ხათუნა ჯელაძე) – II პრემია და ვერცხლის მედალი, ლუკა სვანიძე (ფორტეპიანო, პედაგოგი მაია ქურციკიძე) – II პრემია და ვერცხლის მედალი.

საქართველოს მუსიკოს–შემსრულებელთა ეროვნული კონკურსი (ქალაქი თბილისი) – საფორტეპიანო განყოფილების პედაგოგის, ქეთევან ცხვედიანის მოსწავლეები: ელენე გიგანი – II პრემია, ნინო გავაშელაშვილი – III პრემია და ნატალი ხამაშურიძე – დიპლომი.

კონკურსი – „რონდო–კლასიკა“ – გალა კონცერტზე დაუკრა საფორტეპიანო განყოფილების მოსწავლემ, ცოტნე მამაგეიშვილმა (პედაგოგი, პროფესორი ციცინო თოდუა). საუკეთესო კონცერტმაისტერების წოდება მიიღეს სასწავლებლის პედაგოგებმა: ლილი ჯოჯუამ და გიორგი რევიშვილმა.

25 ოქტომბერს სასწავლებელში ჩატარდა გერმანიის ქალაქ კლაინმახნოვის სკოლისა და სამუსიკო სასწავლებლის მოსწავლეთა ერთობლივი კონცერტი

გერმანიაში, გაცვლითი პროგრამის ფარგლებში „მუსიკა, როგორც ენა კულტურათა შორის“ იმყოფებოდნენ სასწავლებლის მოსწავლეები: რატი გუნიავა (ფლეიტა, პედაგოგი ირინა ბერაძე), საბა შარაშენიძე (კლარნეტი, პედაგოგი მ.მჭედლიშვილი), ანი ანაკიძე (ვიოლინო, პედაგოგი დარეჯან ფურცხვანიძე), სოფიო გიორგაძე (ვიოლინო, პედაგოგი ხათუნა ჯიმშელეიშვილი), ლიზი ბასილაძე (ფორტეპიანო, პედაგოგი ანჟელა დოლაბერიძე), ნანა გორგოძე (ფორტეპიანო, პედაგოგი ანჟელა დოლაბერიძე) და ცოტნე მამაგეიშვილი (ფორტეპიანო, პედაგოგი პროფესორი ციცინო თოდუა).

სენაკის მე–6 რეგიონალურ ფესტივალში მონაწილეობა მიიღო და საპატიო დიპლომი დაიმსახურა სასწავლებლის 16–მა მოსწავლემ.

საქართველოს მუსიკოს–შემსრულებელთა მე–6 კონკურსი – კონკურსგარეშე მონაწილეები: გიორგი ებანოიძე (ფორტეპიანო, პედაგოგი პროფესორი ციცინო თოდუა) – დიპლომი; სოფიო გიორგაძე (ვიოლინო, პედაგოგი, ხათუნა ჯიმშელეიშვილი, კონცერტმაისტერი, გიორგი რევიშვილი) – თურქეთის საელჩოს პრემია.

ქალაქ თბილისში ჩატარდა გერმანიაში წამსვლელ მოსწავლეთა შესარჩევი ტური, სადაც შეარჩიეს სამუსიკო სასწავლებლის მოსწავლე კატარინა გეგელია (ვიოლინო, პედაგოგი ხათუნა ჯიმშელეიშვილი, კონცერტმაისტერი, გიორგი რევიშვილი).

ქალაქ ქუთაისში გახლდათ ბრიტანელი პიანისტი და დირიჟორი მაიკლ უორდი, რომელმაც აარჩია სასწავლებლის 7 მოსწავლე: კატარინა გეგელია (ვიოლინო, პედაგოგი, ხათუნა ჯიმშელეიშვილი, კონცერტმაისტერი, გიორგი რევიშვილი), გვანცა ბუცხრიკიძე (ვიოლინო, პედაგოგი ეკა გიორგაძე, კონცერტმაისტერი, კესო ზვიადაძე), ავთო ჭიქავა (სოლო სიმღერა, პედაგოგი ლუბა ლომაკინა), მარიამ კუჭავა (სოლო სიმღერა, პედაგოგი ლუბა ლომაკინა), ნინი გიორგაძე (ვიოლინო, პედაგოგი ეკა გიორგაძე, კონცერტმაისტერი, კესო ზვიადაძე), ლიზი ბასილაძე (ფორტეპიანო, პედაგოგი, ანჟელა დოლაბერიძე), ნანა გორგოძე (ფორტეპიანო, პედაგოგი, ანჟელა დოლაბერიძე).

არჩეული მოსწავლეები ინგლისში გაემგზავრებიან და მსმენელის წინაშე 15 წუთიანი სოლო პროგრამით წარსდგებიან.

ქალაქ ბათუმში ელისო ბოლქვაძის მასტერკლასები გაიარეს სასწავლებლის მოსწავლეებმა: ბუბა ჩხიკვაძემ (ფორტეპიანო, პედაგოგი, მარინა გურული), ელენე გიგანმა (ფორტეპიანო, პედაგოგი ქეთევან ცხვედიანი) და ლიზი ბასილაძემ (ფორტეპიანო, პედაგოგი ანჟელა დოლაბერიძე).

სამუსიკო სასწავლებელში მასტერკლასები ჩაატარა ფრანგმა პიანისტმა მიშელ სონმა. აღნიშნულ მასტერკლასებზე სასწავლებლის მოსწავლეებმა შესრულების მაღალი დონე აჩვენეს.

სექტემბერში, გაცვლითი პროგრამის ფარგლებში გერმანიაში მიწვეულია სასწავლებლის 2 მოსწავლე: ნანა გორგოძე (ფორტეპიანო, პედაგოგი ანჟელა დოლაბერიძე) და ანი ანაკიძე (ვიოლინო, პედაგოგი დარეჯან ფურცხვანიძე).

თელავში, ფორტეპიანოს განხრით მასტერკლასები ჩაატარა ჰოლანდიაში მოღვაწე პიანისტმა, ხათუნა გოგოჩაშვილმა, რომელზეც გამოვიდა სასწავლებლის საფორტეპიანო განყოფილების მოსწავლე ლიზი ბასილაძე (პედაგოგი ანჟელა დოლაბერიძე).

ვიოლინოს განხრით კი, მასტერკლასები ჩაატარა არაჩვეულებრივმა მუსიკოსმა ვილმანმა, სადაც გამოვიდნენ სასწავლებლის მოსწავლეები სოფიო გიორგაძე და კატარინა გეგელია (პედაგოგი, ხათუნა ჯიმშელეიშვილი, კონცერტმაისტერი, გიორგი რევიშვილი), რომლებმაც შესრულების მაღალი დონე აჩვენეს.

ტრადიციულად ჩატარდა ქართული მუსიკისა და საგაზაფხულო მუსიკის კვირეული, სადაც ყველა განყოფილების მოსწავლეებმა მიიღეს მონაწილეობა. ასევე, ყველა განყოფილებაზე ჩატარდა აკადემიური კონცერტები.

სოლო სიმღერის განყოფილებამ გამართა 3 მარტისა და ნოდარ ანდღულაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიება.

სასწავლებლის მოსწავლეებმა ტრადიციულად მიიღეს მონაწილეობა ქალაქის სხვადასხვა ღონისძიებებში: „ფრანკოფონიის დღეები“ (აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი), „ღამე მუზეუმში“ (ისტორიული მუზეუმი, საბრძოლო დიდების მუზეუმი და ზაქარია ფალიაშვილის სახლ–მუზეუმი).

სასწავლებლის ინიციატივით დაფუძნდა კონკურსი სოლფეჯიოსა და მუსიკის ლიტერატურაში, სადაც მაღალი შედეგები აჩვენეს მოსწავლეებმა: თეკლა ჯღამაძემ – I ადგილი (პედაგოგი, ტატიანა ვახტანგაძე, ციცო კახიანი), მარიამ ხერგიანმა – II ადგილი (პედაგოგი ქეთევან ბანცაძე, ნინო გედენიძე), გიორგი არაბიძემ – III ადგილი (პედაგოგი ქეთევან ბანცაძე, ნინო გედენიძე).

საგუნდო მუსიკის მე–6 კონკურსი

უმცროსკლასელთა გუნდი – I ადგილი, ოქროს მედალი, პრეზიდენტის მადლობა და ფულადი პრემია (ხელმძღვანელი ეთერ ფილიპაშვილი, კონცერტმაისტერი ნონა კვარაცხელია).

უმცროსკლასელთა გუნდი – I ადგილი და ვერცხლის მედალი (პედაგოგი სოფიო როინიშვილი, კონცერტმაისტერი თამთა მიქიაშვილი).

საერთაშორისო კონკურსი „მისა“ – ეკა ნიკოლაძე (ფორტეპიანო, პედაგოგი ლედა კანკავა) – გრან პრი და მიწვევა ბავარიაში, სადაც უკვე იმყოფებოდა და 15 წუთიანი სოლო პროგრამით ძალიან წარმატებულად წარსდგა მსმენელის წინაშე.

აღნიშნული კონკურსის ფარგლებში ბავარიაში იმყოფებოდა სასწავლებლის კონცერტმაისტერი გიორგი რევიშვილი, რომელმაც მოცარტის №14 კონცერტი შეასრულა.

მიშელ სონის სტიპენდიანტმა ეკატერინე ნიკოლაძემ (ფორტეპიანო) ბათუმში კონცერტი გამართა და მასტერკლასი გაიარა მიშელ სონთან.

2 მაისის ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღო სოფიო როინიშვილის, ეთერ ფილიპაშვილისა და ნათია გოგუაძის გუნდმა, ასევე სასწავლებლის ფოლკლორულმა ანსამბლმა „ნაი–ნაიმ“.

საიუბილეო ღონისძიებები:

სასწავლებლის კურსდამთავრებულის ნინი გიორგაძის კონცერტი ოპერის თეატრში;

სასწავლებლის კურსდამთავრებულ ლაშა კვარაცხელიას კონცერტი სამუსიკო სასწავლებლის დარბაზში;

საორკესტრო განყოფილების (ვიოლინო) მოსწავლე ქრისტინა შეყრილაძის (პედაგოგი ეკა გიორგაძე, კონცერტმაისტერი კესო ზვიადაძე) სოლო კონცერტი სამუსიკო სასწავლებლის დარბაზში;

სასწავლებლის კურსდამთავრებულების გიორგი ტაბატაძისა და ნათია კეთილაძის დუეტი ოპერის თეატრში;

სოლო სიმღერის განყოფილების პედაგოგის, პროფესორ გიორგი ლომთაძის კლასის კონცერტი;

საფორტეპიანო განყოფილების პედაგოგის, პროფესორ ციცინო თოდუას კლასის კონცერტი;

საფორტეპიანო განყოფილების პედაგოგის, ანჟელა დოლაბერიძის კლასის კონცერტი;

საფორტეპიანო განყოფილების პედაგოგის, ლედა კანკავას კლასის კონცერტი;

საფორტეპიანო განყოფილების პედაგოგის, ქეთევან ცხვედიანის კლასის კონცერტი;

საორკესტრო განყოფილების პედაგოგის, ხათუნა ჯიმშელეიშვილის კლასის კონცერტი;

საორკესტრო განყოფილების პედაგოგის, ეკა გიორგაძის კლასის კონცერტი;

სოლო სიმღერის განყოფილების პედაგოგის, ლუბა ლომაკინას კლასის კონცერტი;

სასწავლებელის დარბაზში კონცერტი „ფრანგული მუსიკის ტალღაზე";

საფორტეპიანო განყოფილების მოსწავლის ეკა ნიკოლაძის სოლო კონცერტი;

საფორტეპიანო განყოფილების მოსწავლის ლიზი ბასილაძის სოლო კონცერტი;

სასწავლებლის პედაგოგთა კონცერტი;

ანსამბლების კონცერტი;

საორკესტრო განყოფლების პედაგოგ ეკა გიორგაძის კლასის კონცერტი საჩხერესა და სასწავლებლის დარბაზში;

სასწავლებლის საანგარიშო კონცერტი ამბროლაურში;

ამბროლაურში, ფესტივალში „სახიობა" – სოლო პროგრამით მონაწილეობდა სასწავლებლის ფოლკლორული ანსამბლი „ნაი–ნაი" და სასწავლებლის კამერული ორკესტრი;

სასწავლებელში ჩატარდა შიდა კონკურსი საფორტეპიანო განყოფილებაზე ეტიუდსა და პოლიფონიაში, სადაც თითქმის ყველა მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა და შესრულების მაღალი დონე აჩვენა;

6 ივლისს ლადო მესხიშვილის სახელობის დრამატულ თეატრში ტარდება სასწავლებლის 100 წლის იუბილისადმი მიძღვნილი გალა–კონცერტი.

მ.ბალანჩივაძის სახელობის №1 სამუსიკო სკოლა

სკოლის წარმატებული მოსწავლეები სისტემატიურად მონაწილეობენ კლასიკური მუსიკის რესპუბლიკურ კონკურს–ფესტივალებში, სადაც მიღებული აქვთ სხვადასხვა ნომინაციებში ლაურეატის წოდება, რეკომენდაცია ესპანეთის ქალაქ ბარსელონაში საერთაშორისო კონკურსზე მონაწილეობისათვის. ემზადებიან მონაწილეობის მისაღებად ქალაქ ბორჯომში თ.ამირეჯიბის სახელობის საერთაშორისო კონკურსში.

მე–6 კლასის მოსწავლე დაჩი კეკუა (პედაგოგი ქ.ახვლედიანი) მონაწილეობდა ქალაქ ალანიაში საერთაშორისო კონკურს–ფესტივალზე.

წლის განმავლობაში ტარდებოდა ღია გაკვეთილები, გასვლითი გაკვეთილები ზ.ფალიაშვილის სახლ–მუზეუმში, ოპერის თეატრში.

მიმდინარე სასწავლო წელს ჩატარებული ყველა ღონისძიება მიეძღვნა სკოლის დაარსებიდან 100 წლის იუბილეს.

მაისში ჩატარდა მუსიკალური გაზაფხულის კვირეული. საფორტეპიანო განყოფილების მე–4 კლასის მოსწავლე ლიზი მეგრელიშვილმა (პედაგოგი ხათუნა ჭოხონელიძე) 2018 წლის სექტემბერში მონაწილეობა მიიღო ბათუმის ფესტივალში, რომელიც ჩატარდა ფრანგ კომპოზიტორ მიშელ სონისა და პიანისტ ელისო ბოლქვაძის მიერ

და გახდა მათი ფავორიტი. 2018 წლის 13 დეკემბერს ლიზი მიიწვიეს საფრანგეთში, ქალაქ პარიზში „SOS“ ტალანტების გალა კონცერტზე მონაწილეობის მისაღებად მარსელ დასოს სასახლეში.

2018 წლის 9 ნოემბერს ლიზი მეგრელიშვილმა მონაწილეობა მიიღო დ.ღვინიანიძის ფონდის „მსოფლიო ტალანტები“ პროექტში მუსიკალური გალერეა – „გზა კარნეგი ჰოლისაკენ“, სადაც მოიპოვა მე–2 ადგილი და 50%-იანი დაფინანსება 2019 წლის სექტემბერში ამერიკაში „კარნეგი ჰოლში“ გამართულ კონცერტზე მონაწილეობის მისაღებად.

2019 წლის 28 მარტიდან 5 აპრილის ჩათვლით ლიზი მეგრელიშვილი იმყოფებოდა ქალაქ პარიზში მაესტრო მიშელ სონისა და პიანისტ ელისო ბოლქვაძის მასტერკლასზე.

სისტემატიურად ეწყობა გასვლითი ღია გაკვეთილები ზ.ფალიაშვილის სახლ–მუზეუმში, საოპერო თეატრში.

საშობაო–საახალწლო კონცერტი № 1 სამუსიკო სკოლის აღსაზრდელთა მონაწილეობით.

ჩატარდა პედაგოგების ც.ფარულავას და თამარ გუმბერიძის მიერ ანსამბლის კლასის ერთობლივი მეცადინეობა – გაკვეთილი „სიმებიან–ხემიანი ინსტრუმენტები“.

მოეწყო სკოლის დაარსებიდან 100 წლისადმი მიძღვნილი შიდა სასკოლო საიუბილეო საღამო.

ჩატარდა საანგარიშო კონცერტი ფოთში.

კლასიკური მუსიკის კონკურს–ფესტივალები: ვ.შიუკაშვილის ეროვნული კონკურსი, „მომავლის ვარსკვლავები“, „იპოვე შენი ვარსკვლავი“, „რონდო კლასიკა“, თურქეთის ქალაქ ალანიაში, სენაკის ფესტივალი, ქართული კლასიკური მუსიკის კონკურსი.

მუსიკალური კვირეულის ფარგლებში მოეწყო პირველკლასელ მოსწავლეთა კონცერტი, პედაგოგთა კონცერტი, გუნდების საღამო, თეორიული კონფერენცია, ღია გაკვეთილები, პედაგოგების ი.გიგაურის, ც.ფარულავას, ე.გიორგაძის, ლ.ქურიძის, ხ.ჭოხონელიძის კლასების კონცერტები.

სკოლის აღსაზრდელებმა მონაწილეობა მიიღეს და სხვადასხვა ხარისხის წარმატებები მოიპოვეს კონკურს–ფესტივალებზე: ვ.შიუკაშვილის ეროვნული კონკურსი, „მომავლის ვარსკვლავები“, „იპოვე შენი ვარსკვლავი“, „რონდო კლასიკა“, თურქეთის ქალაქ ალანიაში, სენაკის ფესტივალი, ქართული კლასიკური მუსიკის კონკურსი.

მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს საქალაქო თეორიულ კონფერენციაში „თაობათა ცვლა“, რომელიც მიეძღვნა პედაგოგ ე.კაკუშაძის ხსოვნას. კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო 3 თემა: ა) „თ.არსენიძე – თეატრალური მხატვარი“ ანანო ხვედელიძე IVკლასი; ბ) მოცარტი – შვილი – „მძიმე ხვედრი“ შოთა ჭეიშვილი VI კლასი; გ) ქართული სასულიერო მუსიკა“ მაია სულაბერიძე – VI კლასი (პედაგოგი თ.გუმბერიძე) – დაჯილდოვდნენ სიგელებით. ანანო ხვედელიძემ მოიპოვა ნომინაცია „ჟიურის სიმპათია“.

2019 წლის 18–19 მაისს, სკოლის მოსწავლეები მონაწილეობდნენ ა(ა)იპ „ქალაქ ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანებისა“ და ცენტრალური სამუსიკო სასწავლებლის მიერ ორგანიზებულ სოლფეჯიოსა და მუსიკის ლიტერატურის საქალაქო კონკურსში:

1. ბ.ბაბუნაშვილი – II ადგილი;
2. ა.ხვედელიძე – II ადგილი;
3. ლ.მეგრელიშვილი – დიპლომი;
4. ქ.ხვისტანი – დიპლომი;
5. ნ.ქასრაძე – დიპლომი;
6. 19–მა მოსწავლემ მოიპოვა სიგელი.

ზ.ფალიაშვილის სახელობის № 2 სამუსიკო სკოლა

ახალი სასწავლო წელი მნიშვნელოვანი ღონისძიებით დაიწყო ქუთაისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის № 2 სამუსიკო სკოლამ.

17 სექტემბერს ზ.ფალიაშვილის სახელობის მე–2 სამუსიკო სკოლის საკონცერტო დარბაზში შედგა ამერიკის მეტროპოლიტენ ოპერის სოლისტის რაულ მელოს მასტერკლასი სოლო სიმღერის კლასით. ეს მასტერკლასი ჩართული იყო ქუთაისის I საერთაშორისო საოპერო ფესტივალის ფარგლებში, რომელიც 16–22 სექტემბერს გაიმართა ქუთაისის საოპერო თეატრში

მასტერკლასში ჩართული იყვნენ ქუთაისის სახელოვნებო საგანმანათლებლო სივრცის ყველა საფეხურის წარმომადგენლები: უმაღლესი სამუსიკო კოლეჯის, სამუსიკო სასწავლებლისა და სამუსიკო სკოლის აღსაზრდელები.

სწავლების 1 საფეხურს წარმოადგენდა მხოლოდ – ზ.ფალიაშვილის სახელობის მე–2 სამუსიკო სკოლის მოსწავლე მარიამ ომანაძე – მე-5 კლასი (პედაგოგი მეგი წიქორიძე, კონცერტმაისტერი ნანა დოღონაძე).

26 სექტემბერს საკონცერტო დარბაზში შედგა პროექტის „მუსიკალური გალერეა – გზა კარნეგი ჰოლისაკენ“ საპრეზენტაციო პრეს–კონფერენცია, რომელსაც ესწრებოდნენ საქალაქო და რეგიონალური ჟურნალისტები.

19 ოქტომბერს კულტურისა და დასვენების პარკში გაიმართა უქიმერიონის მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებული კონცერტი, სადაც ჩართული იყო მე–2 სამუსიკო სკოლა, წარმოდგენილი იყო სამუსიკო სკოლის საესტრადო გუნდი (ხელმძღვანელი, სოფიო როინიშვილი), გოგონათა ტრიო და ხალხური სიმღერის ანსამბლი (ხელმძღვანელი, ნოშრევან ანთია).

ამავე ღონიძიებაზე ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა, გიორგი ჭიღვარიამ დააჯილდოვა მე–2 სამუსიკო სკოლის ღვაწლმოსილი პედაგოგი, ქალბატონი ელისო ბრეგაძე.

8 ნოემბერს ქუთაისის ლ.მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გაიმართა პროექტის „ტვინების ბრძოლა“ შესარჩევი ტური დასავლეთ საქართველოს მასშტაბით. ღონისძიების გახსნისათვის სპეციალურად მიწვეული იყო სამუსიკო სკოლის საესტრადო გუნდი (ხელმძღვანელი, სოფიო როინიშვილი, კ/მაისტერი: ერეკლე დიდია).

11–12 ნოემბერს სამუსიკო სკოლის საკონცერტო დარბაზში შედგა ქართულ–ამერიკული პროექტის „მუსიკალური გალერეა – გზა კარნეგი ჰოლისაკენ“ პირველი შესარჩევი ტური იმერეთის მასშტაბით. პროექტში ჩართული იყვნენ მე–2 სამუსიკო სკოლის მოსწავლეები.

საერთაშორისო სერთიფიკატებით დაჯილდოვდნენ:

მოსწავლეები:

1. მაღლაფერიძე ნიკოლოზ – მე–2 კლასი ფორტეპიანო;
2. გიორგაძე ნინი – მე-3 კლასი (ვიოლინო);
3. ბერაძე ნია – მე-4 კლასი (ვიოლინო);
4. წერეთელი მია მარიამ – მე-5 კლასი (ვიოლინო);
5. ომანაძე მარიამ – მე–5 კლასი (ვოკალი);
5. კეკელია ანრი – მე–6 კლასი (ვიოლინო);

პედაგოგები:

1. ბერძენაძე მარიცა;
2. ხურცილავა სოფიო;
3. ზვიადაძე შორენა;
4. წიქორიძე მეგი;

კონცერტმაისტერები:

1. დოღონაძე ნანა;
2. ენდელაძე თინათინ.

საერთაშორისო სერთიფიკატი, მიწვევა – კარნეგი ჰოლში (აშშ) საკონცერტო გამოსვლა და 50% დაფინანსება მოიპოვა ანა – მარია გოცირიძემ მე-3 კლასი (ვიოლინო, პედაგოგი, სოფიო ხურცილავა, კონცერტმაისტერი, ნანა დოღონაძე).

13 ნოემბერს ზ.ფალიაშვილის სახელობის მე–2 სამუსიკო სკოლის საკონცერტო დარბაზში გაიმართა კლასიკური მუსიკის საღამო, სადაც ჩართული იყვნენ ჩვენი ქალაქის ახალგაზრდა მუსიკოს–შემსრულებლები. საღამოს ორგანიზატორი იყო ნიჭიერი ახალგაზრდა ფლეიტისტი, გაგა შოთაძე.

16 ნოემბერს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში შედგა იაკობ გილმანის მასტერკლასი სავიოლინო კლასში, სადაც მონაწილეობის მისაღებად სამუსიკო სკოლის დირექციის მიერ შერჩეულ იქნა მე–4 კლასის მოსწავლე ნია ბერაძე, (პედაგოგი, შორენა ზვიადაძე, კონცერტმაისტერი, თინათინ ენდელაძე).

22 ნოემბერს ზ.ფალიაშვილის სახელობის მე–2 სამუსიკო სკოლის საკონცერტო დარბაზში შედგა გიორგი რევიშვილისა და ნათია მაისურაძის საფორტეპიანო დუეტის პრეზენტაცია – კონცერტი. პრეზენტაციაზე მოწვეული იყო თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის საშემსრულებლო ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი, პიანისტი ნინო ჟვანია, რომელმაც მაღალი შეფასება მისცა ახალგაზრდების ამ წამოწყებას.

3 დეკემბერს სამუსიკო სკოლის საკონცერტო დარბაზმა განსხვავებული ფორმატისა და შინაარსის საღამოს უმასპინძლა. ქუთაისელი მსმენელის წინაშე წარსდგა ნიჭიერი მუსიკოსი, ღვაწლმოსილი პედაგოგი, ქალბატონი მადონა კვანტალიანი. პიროვნება, რომელმაც ურთულესი ავადმყოფობის შემდეგ შეძლო საკუთარ თავზე გამარჯვება.

საღამომ თბილ და შემოქმედებით ატმოსფეროში ჩაიარა. ეს იყო მუსიკალური დიალოგი დარბაზსა და სცენაზე მყოფ მუსიკოსს შორის, რომელმაც მხოლოდ მარცხენა ხელის მეშვეობით შეძლო აეჟღერებინა მსოფლიო მუსიკის შედევრები.

10 დეკემბერს შედგა სოციალურ, სახელოვნებო-საგანმანათლებლო პროექტის „ჩვენ ყველანი ერთი ვართ“ მე-3 ეტაპის შემაჯამებელი საღამო. პროექტში ჩართულები იყვნენ „SOS“ ბავშვთა სოფლის, მე–2 სამუსიკო სკოლის აღსაზრდელები და უნარშეზღუდული ბავშვები. საღამო შედგებოდა რამდენიმე ნაწილისაგან. წარმოდგენილი იყო პროექტში ჩართულ ბავშვთა ნამუშევრები. გაიმართა კონცერტი მე–2 სამუსიკო სკოლისა და ბავშვთა სოფლის აღსაზრდელთა მონაწილეობით.

11 – 14 დეკემბერს, თბილისში მუსიკის აკადემიაში ჩატარდა კლასიკური მუსიკის მე–8 ეროვნული კონკურსი, სადაც მონაწილეობას ღებულობდნენ მე–2 სამუსიკო სკოლის საორკესტრო განყოფილების მოსწავლეები. მე–2 ადგილი და ლაურიატის წოდება მოიპოვა ნინი გიორგაძემ (მე-3 კლასი) – პედაგოგი, ს.ხურცილავა, კონცერტმაისტერი, ნ.დოღონაძე; I ადგილი და ლაურიატის წოდება მოიპოვეს: ნატალი ხურციძემ – კატეგორია „ბ“, პედაგოგი, ს.ხურცილავა, კონცერტმაისტერი, ნ.დოღონაძე, მარიამ წერეთელმა – კატეგორია „ბ“, პედაგოგი, ლ.ვარდოსანიძე, კონცერტმაისტერი, ნ.დოღონაძე, ანა–მარია გოცირიძემ (მე-3 კლასი) – კატეგორია „ა“, პედაგოგი, ს.ხურცილავა, კონცერტმაისტერი, ნ.დოღონაძე, ანა–მარია გოცირიძე ამავდროულად გახდა ვალერიან შიუკაშვილის სტიპენდიანტი.

მე–2 სამუსიკო სკოლის ხელმძღვანელი – ნინო დოღონაძე კონკურსის ორგანიზატორთა გადაწყვეტილებით მიწვეული იყო ჟიურის შემადგენლობაში.

24 – 27 დეკემბერს, ზ.ფალიაშვილის სახელობის მე–2 სამუსიკო სკოლაში საახალწლო კონცერტების კვირეული მოეწყო, სადაც წარმოდგენილი იყო ყველა განყოფილება. სამუსიკო სკოლის გულშემატკივრებს საშუალება მიეცათ სრული წარმოდგენა შეექმნათ სკოლის დღევანდელობის შესახებ.

28 დეკემბერს, ზ.ფალიაშვილის სახელობის მე–2 სამუსიკო სკოლის საკონცერტო დარბაზში გაიმართა ახალგაზრდული კამერული ორკესტრის საიუბილეო საახალწლო კონცერტი. მე–5 საიუბილეო წლის ორკესტრის

შემადგენლობა ძირითადად, ქუთაისის ზ.ფალიაშვილის სახელობის მე–2 სამუსიკო სკოლის წარმატებული მოსწავლეებისა და კურსდამთავრებულებისაგან იყო დაკომპლექტებული (ანრი კეკელია, ნატალი ხურციძე, ნინი გიორგაძე, მია–მარიამ წერეთელი, ნანო ლოსაბერიძე, ლიზი კეკელია, ნია ბერაძე, ნონა ჭუმბურიძე, ნათია ნიკოლაძე, სალომე შალამბერიძე). მოსამზადებელ ეტაპს ქუთაისის ზ.ფალიაშვილის სახელობის მე–2 სამუსიკო სკოლის საორკესტრო კლასის პედაგოგი შორენა ზვიადაძე ხელმძღვანელობდა. დირიჟორის, ბატონი ავთანდილ მამაცაშვილის ჩამოსვლისათვის საკონცერტო პროგრამა მოსწავლეთა ორკესტრს მზად ჰქონდა. ავთანდილ მამაცაშვილითან ურთიერთობა პატარებისათვის ნამდვილ მასტერკლასად იქცა. პროექტის კიდევ ერთი გაბედული ნაბიჯი იყო ჰენდელის „ალილუიას“ შესრულება. საგუნდო პარტიის შესასრულებლად პროექტის ავტორთა ყურადღება მე–2 სამუსიკო სკოლის საესტრადო გუნდზე შეჩერდა (ხელმძღვანელი – სოფიო როინიშვილი). ორი ნიჭიერი დირიჟორის ტანდემმა (გუნდის დირიჟორი, ს.როინიშვილი და ორკესტრის დირიჟორი ავთანდილ მამაცაშვილი) თავისი შედეგი გამოიღო და ჰენდელის „ალილუია“ კონცერტის ნამდვილ მწვერვალად იქცა.

21 იანვარს თბილისში, ცენტრალურ სამუსიკო სასწავლებელში, „ნიჭიერთა ათწლედში“ შედგა გერმანული პროექტის მოსმენა, სადაც წარმატებით გამოვიდნენ სამუსიკო სკოლის საორკესტრო განყოფილების მოსწავლეები:

ანა–მარია ხინგავა (მე-3 კლასი) – პედაგოგი სოფიო ხურცილავა, კონცერტმაისტერი ნანა დოღონაძე;

ნატალი ხურციძე (მე-5 კლასი) – პედაგოგი სოფიო ხურცილავა, კონცერტმაისტერი ნანა დოღონაძე;

მია მარიამ წერეთელი (მე-5 კლასი) – პედაგოგი ლია ყაველაშვილი, კონცერტმაისტერინანა დოღონაძე;

ნია ბერაძე (მე-4 კლასი) – პედაგოგი შორენა ზვიადაძე, კონცერტმაისტერი თინათინ ენდელაძე;

ანრი კეკელია (მე-6 კლასი) – პედაგოგი შორენა ზვიადაძე, კონცერტმაისტერი თინათინ ენდელაძე.

21 – 27 იანვარს თბილისში საქართველოს უნივერსიტეტის მუსიკის აკადემიაში ჩატარდა მოცარტის სახელობის მე–3 საერთაშორისო კონკურსი, სადაც წარგზავნილი იყვნენ მე–2 სამუსიკო სკოლის მოსწავლეები:

კატეგორია „ა“ ანა–მარია ხინგავა (მე-3 კლასი) – პედაგოგი სოფიო ხურცილავა, კონცერტმაისტერი, ნანა დოღონაძე; კატეგორია „ბ“ ნია ბერაძე (მე-4 კლასი), ანრი კეკელია (6 კლასი) პეაგოგი შორენა ზვიადაძე, კონცერტმაისტერი, თინათინ ენდელაძე.

კონკურსის 1 ტურის შედეგების მიხედვით, მე–2 ტურში გადავიდნენ ანა–მარია ხინგავა და ანრი კეკელია, რომელთაც კონკურსის საერთო შედეგების მიხედვით მოიპოვეს მე–2 საპრიზო ადგილი და ლაურეატის წოდება სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიაში.

27 იანვარს შედგა გალა კონცერტი, სადაც ასევე მონაწილეობდნენ საპრიზო ადგილის მფლობელები. ამავე კონცერტზე ანრი კეკელიას გადაეცა დამატებითი პრიზები: მიწვევა ბადენ–ბადენში საერთაშორისო კონკურსის მე–2 ტურში მონაწილეობის მისაღებად; მიწვევა მე–7 საერთაშორისო ფესტივალზე ბულგარეთში.

28 იანვარს ქუთაისის მ.ბალანჩივაძის სახელობის სამუსიკო სასწავლებელში შედგა მე–2 ამერიკული პროექტის „გზა მომავალ თაობას“ შესარჩევი ტური, რომელიც წარმატებით გადალახა ანრი კეკელიამ (მე-6 კლასი). პედაგოგი შორენა ზვიადაძე, კონცერტმაისტერი თინათინ ენდელაძე.

10 თებერვალს ქუთაისს სტუმრობდა საქართველოს პრეზიდენტი, ქალბატონი სალომე ზურაბიშვილი. სკოლის ხელმძღვანელმა ქალბატონ სალომეს გადასცა სამუსიკო სკოლის წარმატებების ამსახველი და ამავე სკოლის ბაზაზე მიმდინარე სოციალურ–სახელოვნებო საგანმანათლებლო პროექტის „ჩვენ ყველანი ერთი ვართ“ სარეკლამო ბუკლეტები. ამ ტიპის პროექტის არსებობამ პრეზიდენტის ყურადღება დაიმსახურა და ქალბატონმა სალომე ზურაბიშვილმა მომავალში მე–2 სამუსიკო სკოლის სტუმრობა დაგეგმა.

21 თებერვალს მე–2 სამუსიკო სკოლაში ჩატარდა პედაგოგ ნოდარ ადეიშვილის ღია გაკვეთილი გიტარის კლასში თემაზე „გიტარის სწავლების სირთულეები საწყისს ეტაპზე“ (მოსწავლე მართა ნემსვერიძე – 1-ლი კლასი). გაკვეთილზე პრაქტიკულად ნაჩვენები იყო ყველა ის პრობლერმები, რაც სწავლების საწყისს ეტაპზე იჩენს თავს.

პედაგოგმა მეთოდურად გააცნო დამსწრე საზოგადოებას ამ პრობლემების გადაჭრის გზები შესაბამისი სავარჯიშოების მაგალითზე.

26 თებერვალს ზ.ფალიაშვილის სახელობის მე–2 სამუსიკო სკოლის საორკესტრო განყოფილების პედაგოგის, თენგო გვენეტაძის ღია გაკვეთილი შედგა თემაზე „ფლეიტის სწავლების სირთულეები საწყისს ეტაპზე“ (მოსწავლე მინდია კაპანაძე 1-ლი კლასი). პედაგოგმა დეტალურად განიხილა საკრავის ისტორია და მისი განვითარების ეტაპები.

26 თებერვალს ქუთაისის დავით კაკაბაძის სახელობის სახვითი ხელოვნების გალერეაში – ა(ა)იპ „ქალაქ ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანების“ და გალერეის ორგანიზებით, ღვაწლმოსილი თანამშრომლის, ფონდების მთავარი მცველის, ეკატერინე კაკაბაძის 70 წლის იუბილე აღინიშნა. გალერეის ხელმძღვანელის, ქალბატონ ელისო ჩოგოვაძის მიწვევით, საიუბილეო ღონისძიებაში ჩართული იყო მე–2 სამუსიკო სკოლის საესტრადო გუნდი (ხელმძღვანელი, სოფიო როინიშვილი).

27 თებერვალს ბაღდათის კულტურის სახლში შედგა მე–2 სამუსიკო სკოლის თეორიის განყოფილების პედაგოგის მაია გუბელაძის წიგნის „გზა დიდებისაკენ“ პრეზენტაცია. სამუსიკო სკოლის სახელით ავტორს მიესალმა მე–2 სამუსიკო სკოლის ხელმძღვანელი ნინო დოღონაძე.

აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო მე–2 სამუსიკო სკოლის მე–3 კლასის საორკესტრო განყოფილების მოსწავლემ ნინი გიორგაძემ (პედაგოგი სოფიო ხურცილავა, კონცერტმაისტერი, ნანა დოღონაძე).

17 – 21 მარტს თბილისში საქართველოს უნივერსიტეტის მუსიკის აკადემიაში ჩატარდა ი.ს.ბახის სახელობის რესპუბლიკური კონკურსი.

„ა“ კატეგორია:

1-ლი ადგილი – მაღლაკელიძე ანკა მე-3 კლასი (პედაგოგი ნანა დოღონაძე);

მე-2 ადგილი – ხუჯაძე ბარბარე მე-3 კლასი (პედაგოგი შორენა ზვიადაძე);

მე-3 ადგილი – კვერნაძე ლიზი მე-3 კლასი (პედაგოგი ნინო ყიფშიძე);

კონკურსის დიპლომანტი გახდა მარიამ კოღუაშვილი მე-2 კლასი (პედაგოგი დალი ლომთაძე).

„ბ“ კატეგორია:

1-ლი ადგილი – სავიოლინო დუეტი: ანრი კეკელია მე-6 კლასი და ნია ბერაძე მე-4 კლასი (პედეაგოგი შორენა ზვიადაძე, კონცერტმაისტერი, თინათინ ენდელაძე).

მე-2 ადგილი – ლიზი გაგოშიძე მე-4 კლასი – ფორტეპიანო (პედაგოგი დალი ლომთაძე), ბერაძე ნია – მე-4 კლასი – ვიოლინო (პედაგოგი შ.ზვიადაძე, კონცერტმაისტერი, თ.ენდელაძე).

მე-3 ადგილი – მერი მჟავია მე-5 კლასი – ფორტეპიანო (პედაგოგი ნინო გოგინოვი), მია–მარიამ წერეთელი მე-5 კლასი – ვიოლინო (პედაგოგი ლია ყაველაშვილი, კონცერტმაისტერი ნანა დოღონაძე).

1-ელ ადგილოსანი მოსწავლეების პედაგოგები ნანა დოღონაძე და შორენა ზვიადაძე დაჯილდოვდნენ სპეციალური სიგელებით.

26 მარტს ზ.ფალიაშვილის სახელობის მე–2 სამუსიკო სკოლის საკონცერტო დარბაზში შედგა რესპუბლიკური კონკურს–ფესტივალის „მომავლის ვარსკვლავები – 2019“ დასავლეთ საქართველოს მასშტაბით შესარჩევი ტური, რომელშიც ჩართულნი იყვნენ მე–2 სამუსიკო სკოლის წარმატებული მოსწავლეები.

საფორტეპიანო განყოფილება

1. გიორგაძე მარიამ – მე-2 კლასი (პედაგოგი თინათინ ენდელაძე);
2. მაღლაფერიძე ნიკოლოზ – მე-2 კლასი (პედაგოგი მარიცა ბერძენაძე);
3. კოღუაშვილი მარიამ – მე-2 კლასი (პედაგოგი დალი ლომთაძე);

4. არეშიძე საბა – მე-3 კლასი (პედაგოგი ჟანა გრძელიძე);

5. გოგორიშვილი მარიამ – მე-3 კლასი (პედაგოგი თინათინ ენდელაძე);

6. მაღლაკელიძე ანასტასია – მე-3 კლასი (პედაგოგი ნანა დოღონაძე);

7. მარგველაშვილი ელენე – მე-4 კლასი (პედაგოგი ქეთევან ლორთქიფანიძე);

8. ცეცხლაძე თინა – მე-4 კლასი (პედაგოგი მაგდა თხილავა)

9. ჟორჟოლიანი მარიამ – მე-4 კლასი (პედაგოგი ანა გაბადაძე)

10. მჟავია მერი – მე-5 კლასი (პედაგოგი ნინო გოგინოვი).

საორკესტრო განყოფილება

1. გოცირიძე ანამარია – მე-3 კლასი (პედაგოგი სოფიო ხურცილავა, კონცერტმაისტერი ნანა დოღონაძე);

2. გიორგაძე ნინი – მე-3 კლასი (პედაგოგი სოფიო ხურცილავა, კონცერტმაისტერი ნანა დოღონაძე);

3. ხურციძე ნატალია – მე-5 კლასი (პედაგოგი სოფიო ხურცილავა, კონცერტმაისტერი ნანა დოღონაძე);

4. სავიოლინო დუეტი – ანრი კეკელია – მე-6 კლასი და ნია ბერაძე – მე-4 კლასი (პედაგოგი შორენა ზვიადაძე, კონცერტმაისტერი თინათინ ენდელაძე).

30 მარტს თბილისში კომპოზიტორთა კავშირის საკონცერტო დარბაზში გაიმართა რესპუბლიკური კონკურსის „იპოვე შენი ვარსკვლავი – 2019“ მოსმენა, სადაც მე–2 სამუსიკო სკოლიდან ჩართული იყო საფორტეპიანო განყოფილების მე–5 კლასის მოსწავლე მერი ჟვანია (პედაგოგი ნინო გოგინოვი), რომელმაც კონკურსის ლაურიატის წოდება და მედალი მოიპოვა.

2 აპრილს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში ჩატარდა რესპუბლიკური კონკურსის „მომავლის ვარსკვლავები – 2019“ ნომინანტთა დაჯილდოვება, სადაც დასახელდა მე–2 სამუსიკო სკოლის 3 აღსაზრდელი შემდეგ ნომინაციებში:

1. ანასტასია მაღლაკელიძე – მე–3 კლასი (პედაგოგი ნანა დოღონაძე) „იმპრესიონისტული ნაწარმოების საუკეთესო შესრულებისათვის“ – ფულადი პრემია;

2. ანა მარია ხინგავა – მე–3 კლასი (პედაგოგი სოფიო ხურცილავა, კონცერტმაისტერი ნანა დოღონაძე) „ოქროს ვიოლინო“ – ფულადი პრემია;

3. ანრი კეკელია მე–6 კლასი და ნია ბერაძე მე–4 კლასი (პედაგოგი შორენა ზვიადაძე, კონცერტმაისტერი თინათინ ენდელაძე) „საუკეთესო სავიოლინო დუეტი“ – ფულადი პრემია.

12 აპრილს ზ.ფალიაშვილის სახელობის მე–2 სამუსიკო სკოლის ბაზაზე განხორციელდა ნინო დოღონაძის საავტორო პროექტი – თეორიული კონფერენცია „თაობათა ცვლა“. პროექტში გაერთიანებული ღონისძიებებიდან ერთ–ერთი ცენტრალური იყო თეორიული კონფერენცია, რომელიც ორი ნაწილისაგან შედგებოდა:

1-ლი ეტაპი – მოსწავლეთა კონფერენცია;

მე-2 ეტაპი – მუსმცოდნეთა მოხსენებები.

მოსწავლეთა კონფერენციაში ჩართულნი იყვნენ დასავლეთ საქართველოს სამუსიკო სკოლის აღსაზრდელები (სულ 22 მონაწილე), ხოლო მე–2 ეტაპში ქუთაისის უმაღლესი სამუსიკო კოლეჯის, ქუთაისის სამუსიკო სასწავლებლის პედაგოები და თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორ–მასწავლებლები.

15 აპრილს ქუთაისის ზ.ფალიაშვილის სახელობის მე–2 სამუსიკო სკოლა აქტიურად ჩაერთო საქართველოს უნივერსიტეტის მუსიკის აკადემიიის ხელმძღვანელის, ვალერიან შიუკაშვილის პროექტში „მუსიკა გვამეგობრებს“, რომელიც სრულიად საქართველოს სამუსიკო სკოლა–სასწავლებლების დათვალიერებას გულისხმობს.

ზ.ფალიაშვილის სახელობის მე–2 სამუსიკო სკოლა წარმოდგენილი იყო ყველა განყოფილების საუკეთესო მოსწავლეებით. ამავე პროექტის ფარგლებში სამუსიკო სკოლასა და მუსიკის აკადემიას შორის დაიდო მეგობრობის მემორანდუმი.

19 აპრილს ქუთაისის ზ.ფალიაშვილის სახელობის მე–2 სამუსიკო სკოლის საკონცერტო დარბაზში ჩატარდა საგუნდო მუსიკის საიუბილეო მე–5 ეროვნული კონკურსის 1-ლი ტური. კონკურსში მონაწილეობა მიიღო სამუსიკო სკოლის საესტრადო გუნდმა, რომელმაც წარმატებით გადალახა ეს ეტაპი და მიწვეულ იქნა თბილისში კონკურსის მე–2 ტურში.

20 აპრილს, ქალაქ თბილისში თეატრალურ–საკონცერტო დარბაზში გაიმართა ფესტივალ „მომავლის ვარსკვლავები–2019“ მონაწილეთა გალა–კონცერტი, სადაც საფესტივალო დიპლომები გადაეცათ მონაწილეებსა და მათ პედაგოგებს.

19–25 აპრილს, გერმანიის ქალაქ ბადენ–ბადენში ჩატარდა ახალგაზრდა მუსიკოს შემსრულებელთა საერთაშორისო კონკურსი, სადაც მიწვეული იყო მე–2 სამუსიკო სკოლის მე–6 კლასის მოსწავლე, მევიოლინე ანრი კეკელია (პედაგოგი შორენა ზვიადაძე). ანრის გმოსვლამ დიდი მოწონება დაიმსახურა და მან ამ ურთულეს კონკურსზე მოიპოვა 1-ლი საპრიზო ადგილი და სპეც.მიწვევა ტენერიფეზე კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

ამავე კონკურსის ფარგლებში ანრი კეკელიამ გაიარა მასტერკლასი ვადიმ ვოილერთან, სანკტ–პეტერბურგის კონსერვატორიის პროფესორთან, რომელმაც მაღალი შეფასება მისცა ახალგაზრდა მევიოლინეს ნიჭსა და შესრულების ხარისხს.

2 მაისს ქუთაისში გამართულ საქალაქო ღონისძიებაში, გვირილობის დღესასწაულზე მონაწილეობა მიიღო ქუთაისის ზ.ფალიაშვილის სახელობის მე–2 სამუსიკო სკოლის საესტრადო გუნდმა. გუნდის გამოსვლამ ტრადიციულად მსმენელთა დიდი მოწონება დაიმსახურა.

12 მაისს თბილისის ვ.სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში ჩატარდა საგუნდო მუსიკის მე–5 საიუბილეო საგუნდო მუსიკის კონკურსის მე–2 ტური, რომელსაც ევროპის სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები აფასებდნენ. წარმატებული აღმოჩნდა მე–2 სამუსიკო სკოლის საესტრადო გუნდის გამოსვლა.

18 მაისს სენაკში კლასიკური მუსიკის რეგიონალურ ფესტივალზე წარმატებით გამოვიდა ზ.ფალიაშვილის სახელობის მე–2 სამუსიკო სკოლა. ყველა მონაწილის გამოსვლა აღინიშნა ფესტივალის უმაღლესი ჯილდოთი – საპატიო დიპლომით. ფესტივალის დამფუძნებელმა ვალერიან შიუკაშვილმა კიდევ ერთხელ აღნიშნა მე–2 სამუსიკო სკოლის წარმატებების შესახებ.

2017 წელს სახლ–მუზეუმის ფონდები შეივსო ოთხი ერთეულით (მე 20 საუკუნის დასაწყისში გამოცემული ნოტებით: კომპოზიტორ ზაქარია ფალიაშვილის მიერ სახალხო ჰანგზე შექმნილი რომანსები, ტფილისის ქართული ფილარმონიული საზოგადოების მიერ გამოცემული. მოსკოვის პოლიგრაფიული სტამბის მიერ გამოცემული ძველებური რომანსი და ივანე გოკიელის საფორტეპიანო ნაწარმოები). 2018 წელს ათი ერთეულით (მ.ბალანჩივაძის რომანსები, კლავირი „აბესალომ და ეთერი“ 1941 წელს გამოცემული; ასევე, 1941 წელს გამოცემული წიგნი „ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერი“ ავტორი ზურაბიშვილი. საოპერო მომღერლის ანატოლი ჭურღულიას არქივი) 2019 წელს ხუთი ერთეულით (ი.კარგარეთელის რომანსები, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე დადგმული ოპერების „დაისის“ და „როგოლეტოს“ პროგრამები და ფილმი–ოპერის „ეთერის სიმღერის“, საინფორმაციო – სარეკლამო ანოტაცია.

კულტურულ–საგანმანათლებლო მუშაობის დარგი

როგორც წესი, სახლ–მუზეუმის ვირტუალურ სალონში, დამთვალიერებელთა ექსკურსი სრულდება კომპოზიტორის ნაწარმოებების მოსმენით, ხორციელდება საგანმანათლებლო პროექტი: „სულ სხვა ხიბლი აქვს ზაქარიას შემოქმედებითი მემკვიდრეობის მემორიალურ სივრცეში მოსმენა–აღქმას“. პროექტის ფარგლებში, დამთვალიერებლებლები სახლ–მუზეუმის თანამშრომლების მიერ ჩატარებული ლექცია–საუბრების დასასრულს, ისმენენ ფალიაშვილის ნაწარმოებებს.

2017 წელს სახლ–მუზეუმი მოემსახურა 1200 დამთვალიერებელს. მათ შორის 700 ინდივიდუალურ და 500 მოსწავლეს ქუთაისისა და ახლომდებარე რაიონების სასწავლო დაწესებულებათა 46 ჯგუფურ დამთვალიერებელს, რომელთაც ჩაუტარდათ 240 ლექცია–საუბარი. დამთვალიერებელთა შორის იყო 64 ტურისტი ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან.

სახლ–მუზეუმის საგანმანათლებლო მისიის შესრულების მიზნით, სახლ–მუზეუმის ვირტუალურ საგამოფენო სივრცეში მოეწყო დედის დღისა და ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები. შეხვედრა იმ პედაგოგებთან, რომლებიც თავიანთი პროფესიიდან გამომდინარე, სისტემატურ დახმარებას უწევენ სახლ–მუზეუმის პოპულარიზაციასა და შესაბამისად, ახალგაზრდა თაობის ესთეტიკურ–შემეცნებითი აღზრდის საქმეს. გაერთიანების წამახალისებელი სიგელებით დაჯილდოვდნენ საჯარო სკოლების ის პედაგოგები, რომლებიც წარმატებით ასრულებენ თავიანთ მოქალაქეობრივ ვალდებულებას. შეხვედრა მიეძღვნა ქალთა საერთაშორისო დღეს.

შეხვედრა საზოგადოებრივი მაუწყებლის პროექტ „წიგნების თაროს“ გამარჯვებულებთან – ანდრია რაზმაძის სახელობის ქუთაისის №41 ფიზიკა–მათემატიკური სკოლის მოსწავლეებთან და მათ დედებთან. შეხვედრას ესწრებოდნენ ქუთაისის მაჟორიტარი დეპუტატი ბატონი გენადი მარგველაშვილი, ქალაქის კულტურულ დაწესებულებათა და საჯარო სკოლების ხელმძღვანელები და თანამშრომლები. ღონისძიება მიეძღვნა დედის დღეს.

მუზეუმების საერთაშორისო დღეს სახლ–მუზეუმში მოეწყო შეხვედრა მწერალ გონერი ჭეიშვილთან, მან საზოგადოებას დიალიზური მოთხრობების ციკლიდან წარუდგინა „ვარსკვლავქრობადი რიჟრაჟი“, რომლის შექმნის საფუძველი სახლ–მუზეუმთან დაკავშირებული მწერლის ჭაბუკობის დროინდელი მოგონებებია.

სახლ–მუზეუმში ლიტვის რესპუბლიკის დელეგაციის სტუმრობის დროს, ქალაქ კაუნასისა და ტელშიაის რაიონის ლიტვური პოლიფონიური ხალხური სიმღერის გუნდების წევრებსა და ქუთაისის ა.ვასაძის სახელობის სასწავლებელთან არსებული ფოლკლორული ანსამბლის წევრებს შორის გამართული შემოქმედებითი, იმპროვიზირებული შეხვედრა იყო კულტურათაშორისი დიალოგის საუკეთესო მაგალითი სამუზეუმო სივრცეში.

2018 წელს სახლ–მუზეუმი დაათვალიერა 1980–მა დამთვალიერებელმა, მათ შორის 873-მა მოსწავლემ. ჩატარდა 330 ლექცია–საუბარი. მოეწყო შეხვედრა თანამედროვე ქართული და მსოფლიო საშემსრულებლო ხელოვნების თვალსაჩინო წარმომდგენელთან, საოპერო მუსიკის მომღერალთან დავით ღვინიანიძესთან. მომღერალი გაეცნო სახლ–მუზეუმის ვირტუალურ სალონში წარმოდგენილ გამოფენას, რომელიც მიძღვნილია 1985–1987 წლებში ქუთაისში ჩატარებული საოპერო ფესტივალისადმი.

ჩატარდა ქუთაისელი ხელოვანის, ბზაზე კვეთის ოსტატის, მუსიკოს არსენ ფოჩხუას ნამუშევრების გამოფენა.

ჩატარდა „ქუთაისის წარსული და მიმდინარე მუსიკალური ცხოვრების ამაგდარი მოღვაწეების პატივგების“ პროექტის პრეზენტაცია. პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებები დაიწყო ცნობილი ქუთაისელი საოპერო მომღერლების ანატოლი და ოლია ჭურღულიების დაბადებიდან 80 წლისთავის აღსანიშნავი შეხვედრა–კონცერტით.

ებრაელობის კვლევის ცენტრის „გულთა კავშირის“ სტუმრობის დროს სახლ–მუზეუმის სივრცეში, ექსპრომტად შედგა ორი უძველესი ერის მრავალსაუკუნოვან მეგობრობაზე დამყარებული კულტურათაშორისი დიალოგი.

2019 წელს სახლ–მუზეუმი დაათვალიერა 1386-მა დამთვალიერებელმა. მათ შორის 737–მა მოსწავლემ. 138–მა ტურისტმა. ჩატარდა 171 ლექცია–საუბარი.

პოლონეთის რესპუბლიკის ელჩი მარიუშ მაშკევიჩი, მიმდინარე წელს, წარმომადგენლობით დელეგაციასთან ერთად, კვლავ, ესტუმრა სახლ–მუზეუმს. სტუმრები დიდი ინტერესით გაეცვნენ ექსპოზიციას. შეხვედრაზე გაგრძელდა მსჯელობა ურთიერთთანამშრომლობის თაობაზე.

უცხოელ სტუმართა შორის იყვნენ ვაშინგტონის ხორო „კაპიტოლ ჰილ ქორალის“ წარმომადგენლები, რომლებიც განმეორებით ესტუმრნენ სახლ–მუზეუმს.

შეთანხმებისამებრ, მიმდინარე წლის 26 ივნისს გუნდი, სრული შემადგენლობით, ესტუმრება სახლ–მუზეუმს და მუსიკოსები, კომპოზიტორის პატივგების ნიშნად, მემორიალურ კომპლექსში შეასრულებენ ზაქარია ფალიაშვილის ნაწარმოებებს.

სახლ–მუზეუმმა ტრადიციისამებრ კვლავ მიიღო მონაწილეობა მუზეუმების საერთაშორისო დღის აქციაში „მოდი ღამე მუზეუმში“, რაც მნიშვნელოვანწილად ზრდის სახლ–მუზეუმის ცნობადობას და საზოგადოებისათვის სამუზეუმო ცხოვრების მნიშვნელოვანი მოვლენების გაცნობის შესაძლებლობას იძლევა.

ზაქარია ფალიაშვილის მემორიალურმა სახლ–მუზეუმმა საზოგადოებას შესთავაზა პროექტი: „კომპოზიტორის მემორიალურ კომპლექსში მოსმენილ და აღქმულ მუსიკას სულ სხვა ხიბლი აქვს“.

აქცია ამავდროულად, მიეძღვნა ოპერა „აბესალომ და ეთერის“ პრემიერიდან მე–100 წლისთავს.

საზოგადოებას შევახსენეთ 100 წლის წინანდელი საპრემიერო მოვლენები.

სახლ–მუზეუმში ტრადიციად მკვიდრდება სალონური შეხვედრების ჩატარება.

სამეცნიერო–ტექნიკური მუშაობის დარგში გრძელდება 2018 წელს დაწყებული მუშაობა სახლ–მუზეუმში დაცული ექსპონატების, გაახლებული ფორმის საცნობარო ბარათების, კართოტეკებისა და სამეცნიერო პასპორტის შედგენაზე.

2018 წლის 16 აგვისტოს, ზაქარია ფალიაშვილის დაბადების დღეს, სახლ–მუზეუმის მემორიალობის დაცვისა და მემორიალური კომპლექსის განვითარების გზების ძიების მიზნით, გაფორმდა მემორანდუმი ა(ა)იპ „ქალაქ ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანამანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანებასა“ და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს შორის.

სააგენტოს ეგიდით ჩამობრძანებულმა უხუცესმა ოსტატმა ადგილზე შეისწავლა უძველესი ევროპული მუსიკალური საკრავები. გაერთიანების თანამშრომლების მიერ ტრანსპორტში დაბინავებული ინსტრუმენტები შსს დაცვის სამასახურის თანხლებით გადატანილ იქნა თბილისში და ჩაუტარდა რესტავრაცია, აჟღერების მიზნით.

2019 წელს რესტავრირებული საკრავები, ექსპონატების ტრანსპორტირებისათვის დადგენილი რეგლამენტის დაცვით, დაუბრუნდა საგამოფენო სივრცეს,

სამეურნეო მუშაობის დარგში ზაფხულის სეზონთან დაკავშირებით, გაიწმინდა სახლ–მუზეუმის ეზო და მემორიალური სახლის მიმდებარე ისტორიული ნაგებობის საძირკვლები. დასუფთავების შემდეგ, მღრღნელების საწინააღმდეგო ხსნარებით შეიწამლა მუზეუმის მიმდებარე ტერიტორია, დამთვალიერებლებისა და თანამშრომლებისათვის ეზოში უსაფრთხოდ გადასაადგილებლად.

დ.მხეიძის სახელობის ფოტო–კინო–მატეანეს მუზეუმი

ფოტო–კინო–მატეანეს მუზეუმში დაცულია ათასობით ფოტომასალა, მათ შორის 1870–1920–იან წლებში ქუთაისში მოღვაწე ფოტოგრაფების: ვ.ბარკანოვის, ბ.მიშენკოს, ა.მიხაილოვის, ვ.ცხომელიძის, გ.ხუნდაძის, მ.კაჩუხაშვილის, ს.გეგეჭკორისა და ნ.საღარაძის უნიკალური ფოტოსურათები. ასევე, ფონდში ინახება საბჭოთა დროში მოღვაწე ცნობილ ქუთაისელ ფოტოხელოვანთა: პ.ლუცენკოს, გ.გერსამიას, ო.ბერეჩიკიძის, ო.მაღლაფერიძისა და თ.ჯავახაძის უნიკალური კოლექციები, რომლებზეც ასახულია ჩვენი ქალაქის ყოფა–ცხოვრების ათეული წლების ისტორია.

2018 წლის მონაცემებით, მუზეუმში დაცულია 3219 ფოტოსურათი, 31494 ფოტონეგატივი და 455 კომპაქტდისკი 81384 კადრით, სულ ფოტომასალა 116094 კადრი. 2019 წელს დღემდე დამზადდა 124 კომპაქტდისკი 13632 კადრით, სამუზეუმო წესით დამუშავდა 40 ფოტოსურათი, 127 ფოტონეგატივი.

მუზეუმის პრიორიტეტია თემატური გამოფენების მოწყობა, მუზეუმს აქვს შესაძლებლობები ჩაატაროს მაღალი დონის გამოფენები არა მარტო ჩვენს ქალაქში, არამედ საზღვარგარეთ, გამოაქვეყნოს სხვადასხვა სახის ბროშურები, კატალოგები და სამეცნიერო ხასიათის მასალები ქუთაისში ფოტოგრაფიის საწყისებზე, მისი განვითარების შესახებ, რაც ხელს შეუწყობს ჩვენი ქალაქის პოპულარიზაციასა და ტურიზმის განვითარებას.

შესწავლილ იქნა ქუთაისში მოღვაწე უცნობი ფოტოხელოვანის სამსონ გეგეჭკორის ბიოგრაფია და მისი მოღვაწეობა მე–20 საუკუნის დასაწყისში.

აქტივობები:

2018 წელი

21 თებერვალი – კინოთეატრი საქართველო, პრეზენტაცია ფილმისა „ექვთიმე ღვთისკაცი“, მოეწყო ფოტოგამოფენა „ძველი ქუთაისი“;

7 მარტი – კლასიკური მუსიკის საღამო ოპერის თეატრში, მოეწყო გამოფენა „ქუთაისელი მანდილოსნები“;

9 აპრილი – თემატური გამოფენა;

2 მაისი – ფოტოგამოფენა „ბაგრატის ტაძარი“ ქალაქის ბულვარში;

19 მაისი – ღამე მუზეუმში ფოტოგამოფენა ზ.ფალიაშვილის სახლ–მუზეუმში;

26 მაისი – თემატური გამოფენა პირველი საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე;

19–20 ივნისი–აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში–საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლისადმი მიძღვნილი ფოტოგამოფენა;

8 აგვისტო – ფოტოგამოფენა (2008 წლის 8 აგვისტოს გმირები).

2019 წელი

8 თებერვალი – ფოტოგამოფენა გელათის სამონასტრო კომპლექსი, აკადემიის შენობა;

12 მარტი – ფოტოგამოფენა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში საქართველოს პარლამენტარიზმის 100 წლისთავთან დაკავშირებით;

2 მაისი – ფოტოგამოფენა „ბულვარის“ 170 წლისთავთან დაკავშირებით;

18 მაისი – ფოტოგამოფენა „ღამე მუზეუმში“;

26 მაისი – ფოტოგამოფენა საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით, ვ.ანჯაფარიძის სკვერში.

ზ.ჯავახაძის სახელობის სპორტის მუზეუმი

სპორტის მუზეუმში განახლდა ელექტროგაყვანილობა და განათება, დაემატა ახალი საგამოფენო ვიტრინა. გამოიცვალა საგამოფენო ვიტრინების ჭერი.

აქტივობები:

2017 წელი

სექტემბრის თვეში სპორტის მუზეუმში მოეწყო ზ.ჯავახაძის წიგნის „ქართული რაგბი 50 წლისაა“ პრეზენტაცია.

ოქტომბრის თვეში, იმერეთის მხარის ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარის, რევაზ რობაქიძის თაოსნობით სპორტის მუზეუმში მოეწყო ღონისძიება თემაზე „სპორტის და ოლიმპიზმის დღე“.

ნოემბრის თვეში მუზეუმში მოეწყო ღია გაკვეთილები თემაზე „ქუთაისის რაგბი“, რომელსაც დაესწრნენ ვეტერანი და ახალგაზრდა რაგბისტები. გაიმართა საუბარი კითხვა–პასუხის რეჟიმში.

წლის სხვადასხვა დროს ქუთაისის სპორტის მუზეუმის თანამშრომლების მიერ ჩატარებულ იქნა ღია გაკვეთილები ქალაქ ქუთაისის სხვადასხვა საჯარო სკოლებთან სპორტულ თემებზე, რამაც ხელი შეუწყო მოსწავლე–ახალგაზრდებში სპორტის პროპაგანდას.

2017 წელს სპორტის მუზეუმი დაათვალიერა 1920-მა ადგილობრივმა და უცხოელმა დამთვალიერებელმა.

აქტივობები:

2018 წელი

იანვარი – სპორტის მუზეუმის ინიციატივით გაიმართა ჩვენი თანაქალაქელის, ცნობილი რაგბისტის ნუგზარ ძაგნიძის 51 წლის საიუბილეო ღონისძიება. ღონისძიებას დაესწრნენ ვეტერანი რაგბისტები, ოჯახის წევრები, მისი მეგობრები, რომლებმაც გაიხსენეს ნუგზარ ძაგნიძის წარმატებული სპორტული კარიერა. სპორტის მემატიანემ, ბატონმა ზ.ჯავახაძემ ვრცლად ისაუბრა სპორტსმენის ღირსეულ წარმატებებზე. სპორტსმენს მიუძღვნა წიგნი ზ.ჯავახაძის ავტორობით „ადრე ჩამქრალი ვარსკვლავი“, რომელზეც იმუშავა მუზეუმის ყველა თანამშრომელმა.

თებერვალი – საქართველოს არაერთგზის ჩემპიონის ნინო ხუციბერიძისაგან (ტყვიით მსროლელი) მუზეუმმა მიიღო სხვადასხვა დასახელების სპორტული ჯილდოები, რომლებიც დარეგისტრირდა, დაინომრა და განთავსებულ იქნა საექსპოზიციო დარბაზში.

მარტი – სპორტის მუზეუმის ინიციატივით ჩატარდა შეხვედრა ქუთაისელ ქალ სპორტსმენებთან: გულთამზე ფაიქიძესთან (მშვილდოსნობა), ჯულიეტა და რუსუდან ჩუბინიძეებთან (მძლეოსნობა), იადა შოვნაძესთან (მძლეოსნობა), რომლებიც იყვნენ სსრკ ჩემპიონები სიმაღლეში ხტომასა და თარჯრბენში. ღონისძიებას ესწრებოდნენ მიწვეული სტუმრები.

მოეწყო ღია გაკვეთილი ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის მენეჯმენტის ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტებთან, გაკვეთილი ჩაატარა მუზეუმის ფონდების მცველმა ბიძინა გუბელაძემ თემაზე: „სპორტული საბრძოლო ხელოვნება „ხრიდოლი“.

სპორტის მუზეუმის ინიციატივით მოეწყო ცნობილი მოკრივის, ტანმოვარჯიშისა და მრავალი წიგნის ავტორის ჯუმბერ კვანტალიანის კარიკატურული ნამუშევრების გამოფენა, რომელიც მიეძღვნა ქუთაისელ სახელოვან სპორტსმენებს.

აპრილი – სპორტის მუზეუმის ინიციატივით ჩატარდა თბილისის „დინამოს“ და ქუთაისის „ტორპედოს“ ყოფილი ფეხბურთელის, სპორტის ოსტატის, სსრკ ჩემპიონის და პრიზიორის გურამ ცხოვრებოვის 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ღონისძიება. სიტყვით გამოვიდნენ ვეტერანი ფეხბურთელები: ნოდარ სარჯველაძე, ავთანდილ წვერავა, გურამ ნიშნიანიძე, მურად წივწივაძე და სხვები, რომელთაც გაიხსენეს ამ ღირსეული ფეხბურთელის ცხოვრება და სპორტული მოღვაწეობა.

მუზეუმში შემოტანილ იქნა კინგ–ბოქსელ ირაკლი ქურიძის სპორტული ჯილდოები, მედლების, დიპლომების, სიგელების სახით, რომლებიც რეგისტრირებულ იქნა სარეგისტრაციო წიგნში და განთავსდა საექსპოზიციო დარბაზში. პარალელურად ჩატარდა ამ ახალგაზრდა ქუთაისელი, ღირსეული, უდროოდ წასული სპორტსმენის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო.

გვირილობის დღესასწაულზე სპორტის მუზეუმის თანამშრომლებმა გამოფენა მოაწყვეს მ. ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრის წინ. აქვე, მოეწყო სპორტის მემატიანის ზ.ჯავახაძის სპორტული წიგნების გამოფენა.

მაისი – სპორტის მუზეუმი დაათვალიერეს თურქეთის ვეტერანმა ფეხბურთელებმა, რომელთაც თავიანთი შთაბეჭდილებები დააფიქსირეს მუზეუმში არსებული შთაბეჭდილების წიგნში.

ტყვიით მსროლელთა ექსპოზიციაში შეტანილ იქნა ტყვიით მსროლელ მარიამ ჩაგანავას სპორტული ჯილდოები: მედლები და დიპლომები.

სპორტის მუზეუმში მოეწყო გამოფენა – ღონისძიება თემაზე: „შევარდენი 100 წლისაა“, რომლის დამაარსებელი გახლდათ საზოგადო მოღვაწე, მეტალურგი, მათემატიკოსი, საბჭოთა ალპინიზმის ფუძემდებელი, ქართული სპორტული ტერმინოლოგიის ავტორი გიორგი ნიკოლაძე.

ივნისი – მოეწყო ცნობილი ქუთაისელი მთასვლელის ლევან ახვლედიანის 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ღონისძიება.

ივლისი – მოეწყო ცნობილი ფეხბურთელის ზაურ სვანაძის საიუბილეო ღონისძიება.

აგვისტო – მოეწყო სახელოვანი ოლიმპიური ჩემპიონის მშვილდოსან, ქეთევან ლოსაბერიძის მწვრთნელის შალვა ჯაშიაშვილის 110 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ღონისძიება – გამოფენა, რომელსაც დაესწრნენ ვეტერანი სპორტსმენები, მიწვეული სტუმრები.

სექტემბერი – ჩატარდა სახელოვანი კალათბურთელის, ოლიმპიური ჩემპიონის მიხეილ ქორქიას 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ღონისძიება, რომელსაც ესწრებოდნენ ვეტერანი კალათბურთელები, სპორტის გულშემატკივრები, ახალგაზრდა სპორტსმენები, მიწვეული სტუმრები.

დეკემბერი – მუზეუმში მოეწყო იმერეთის რეგიონის საუკეთესო სპორტსმენთა დაჯილდოება. დაჯილდოება მოხდა სეოკის იმერეთის ორგანიზებით.

აქტივობები

2019 წელი

იანვარი – ჩატარდა თავისუფალი სტილის მოჭიდავის სსრკ ოთხგზის ჩემპიონის პირად და გუნდურ პირველობებზე ქუთაისელი ზაურ შეყრილაძის 80 წლის საიუბილეო ღონისძიება.

თებერვალი – სპორტის მუზეუმის ინიციატივით მოეწყო ქუთაისის „ დინამოს“ ფეხბურთელის მიშა (შაკია) გერაძის 100 წლის საიუბილეო ღონისძიება – გამოფენა.

მარტი – სპორტის მუზეუმში გაშუქებულ იქნა სპორტის მუზეუმის მუშაობა მისი დაარსებიდან დღემდე, რომელსაც დაესწრო ადგილობრივი თვითმმართველობის გაერთიანების და სხვადასხვა სფეროს დამსახურებული მოღვაწეები.

სპორტის მუზეუმისა და ოლიმპიური კომიტეტის ერთობლივი ინიციატივით ჩატარდა შეხვედრა სახელოვან ქალ მსროლელებთან ნინო ხუციბერიძესთან, ლიზი კილაძესთან და ქუთაისის ბალახის ჰოკეისტ ქალთა წარმომადგენლებთან. მოხდა აღნიშნული სპორტსმენების დაჯილდოება ქალთა დღესასწაულთან დაკავშირებით.

მოეწყო საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკის, ეროვნული კატეგორიის მსაჯის გრიგოლ მიქაუტაძის 70 წლისადმი მიძღვნილი გამოფენა – ღონისძიება.

აპრილი – ქუთაისის სპორტის მუზეუმის ადმინისტრაციისა და ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარის რევაზ რობაქიძის ინიციატივით სპორტის დღესთან დაკავშირებით მუზეუმშივე მოეწყო ღონისძიება – ვიქტორინა ქუთაისის მე–7 საჯარო და ჩოხატაურის საჯარო სკოლის მოსწავლეებს შორის. ვიქტორინის შემდეგ მოსწავლეების მიერ წარმოდგენილ იქნა ქართული ფოლკლორი. მოსწავლეებს გადაეცათ შესაბამისი სერთიფიკატები და საჩუქრად წიგნები.

ქალაქ ქუთაისის მე–20 საჯარო სკოლისა და სპორტის მუზეუმის ორგანიზებით ქალაქ ქუთაისის მე-20 საჯარო სკოლაში ჩატარდა ღონისძიება თემაზე: „ქუთაისელი მოჭიდავეები მსოფლიო არენაზე“, ხოლო მოსწავლეების კითხვებზე გაცემულ იქნა ამომწურავი პასუხები სპორტის მუზეუმის თანამშრომლების მიერ.

მაისი – სპორტის მუზეუმში ჩატარდა წლების მანძილზე ქუთაისის სპორტსკოლისა და სპორტსაზოგადოება „დინამოს“ თავმჯდომარის ვახტანგ თვალთვაძის 90 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო ღონისძიება, რომელსაც დაესწრნენ ვეტერანი სპორტსმენები, საზოგადო მოღვაწეები და მიწვეული სტუმრები.

ქუთაისის ოლიმპიური კომიტეტისა და სპორტის მუზეუმის ადმინისტრაციის ინიციატივით ჩატარდა ღონისძიება თემაზე „სოკოლი“ საქართველოში, რომელსაც დაესწრო ჩეხი „სოკოლელები“ და ქუთაისელი სპორტის

წარმომადგენლები. ეკრანზე გაშუქებულ იქნა „სოკოლის“ შექმნის ისტორია გასული საუკუნიდან დღემდე, რითაც საფუძველი ჩაეყარა კიდევ ერთხელ ჩეხი და ქუთაისელი ხალხის ურთიერთთანამშრომლობას და მეგობრობას.

მუზეუმების საერთაშორისო დღის აღსანიშნავად, მუზეუმის წინ გამოფენილ იქნა ბანერი, ქართველი ოლიმპიელების ფოტოები, ოლიმპიური დროშა, ოლიმპიურ თემებზე მუზეუმის მიერ გამოშვებული წიგნები.

იმავ დღეს, მუზეუმშივე მოეწყო ქუთაისელი პოეტი ქალის ირმა ქურასბედიანის საიუბილეო დღისადმი მიძღვნილი საღამო.

ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარის, ბატონ რევაზ რობაქიძის ინიციატივით მუზეუმში მოეწყო შეხვედრა ახალგაზრდა ბადმინტონელებთან, მწვრთნელებთან, წარმატებულ სპორტსმენებთან და სპორტის მუშაკებთან.

მოეწყო ცნობილი ქართველი წყალბურთელის და მწვრთნელის გივი ჩიქვანაიას დაბადების 80 წლისადმი მიძღვნილი გამოფენა.

საბრძოლო დიდების ეროვნული მუზეუმი

სისტემატიურად ხდება მუზეუმის პროფილის შესაბამისი ექსპონატების შეგროვება და შესწავლა. ამ პერიოდში მუზეუმში შემოსული არის 23 ექსპონატი. ამჟამად მუზეუმში დაცულია 2589 ერთეული. ტარდება ექსკურსიები, ლექცია–საუბრები, კონსულტაციები სამხედრო ისტორიის თემებზე. 2018 წელს სულ მუზეუმი დაათვალიერა 2415–მა ვიზიტორმა, მათ შორის: მოსწავლე – ახალგაზრდა – 910 (ჯგუფური დათავალიერება); ინდივიდი – 662; ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანი – 104; ჯარისკაცი – 59; ტურისტი – 680; 194 ჯგუფს ჩაუტარდა ექსკურსია – საუბარი.

2019 წლის იანვრიდან დღემდე მუზეუმი დაათვალიერა 1330–მა ვიზიტორმა, მათ შორის 308 ტურისტმა. 66 ჯგუფს ჩაუტარდა ექსკურსია.

მოწვევის პერიოდში ჩატარდა შემდეგი აქტივობები:

№3 საჯარო სკოლისა და კადეტთა სასწავლებლის მოსწავლეებმა მუზეუმში შეხვედრა მოუწყვეს მე–3 ბრიგადის მეომრებს;

9 აპრილი – 1989 წლის 9 აპრილს დაღუპულთა მემორიალთან მოეწყო ფოტო გამოფენა;

2 მაისი – ქუთაისობის დღესასწაულში მონაწილეობის მიღების მიზნით, ქალაქის ცენტრალურ ბაღში მოეწყო მუზეუმის ექსპონატთა გამოფენა;

9 მაისი – ფაშიზმზე გამარჯვების დღისადმი ყოველწლიური საზეიმო შეხვედრა გაიმართა მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებთან;

18 მაისი – მუზეუმის საერთაშორისო ორგანიზაციის ICCOM მიერ ჩატარდა ორგანიზებული აქცია „ღამე მუზეუმში“. (მუზეუმის საერთაშორისო დღე);

26 მაისი – მოეწყო საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ფოტო–გამოფენა მუზეუმის მიმდებარე ტერიტორიაზე;

8 აგვისტო – რუსეთ–საქართველოს ომთან დაკავშირებით ხსოვნისა და დიდების მემორიალთან მოეწყო შესაბამისი ფოტო–გამოფენა;

3 ივნისი – ჩატარდა ვიქტორინა საქართველოს სამხედრო ისტორიის საკითხებზე, მონაწილეობდნენ მე–3 საჯარო სკოლის მოსწავლეები და კადეტთა ლიცეუმის კურსანტები.

ჩატარებული აქტივობები ხელს უწყობს გმირთა უკვდავების, ახალგაზრდობის სამხედრო სულისკვეთების ამაღლებისა და ქართული ჯარის პოპულარიზაციის საქმეს.

შემოქმედებითი სახლი „ჯარისკაცის მამა“

შემოქმედებითი სახლის ორგანიზებით თებერვლის თვეში შედგა ქართული ფილმის „ექვთიმე ღვთისკაცის“ პრემიერა ქუთაისელი მაყურებლისთვის;

9 მაისს ომის ვეტერანებისათვის ნაჩვენები იქნა რეზო ჩხეიძის ფილმი „ჯარისკაცის მამა“;

2 ივლისიდან – 1 სექტემბრამდე კულტურის ცენტრში მოეწყო ქართული ფილმების რეტროსპექტივა;

6 ივლისს მოეწყო ალეკო ლომაძის პერსონალური გამოფენა;

17–20 სექტემბერს ჩატარდა რეჟისორ გია დანელიას ფილმების რეტროსპექტივა, მოწვეული იყო გია დანელიას ოჯახის წევრები და მეგობრები. მოეწყო ახალგაზრდა მხატვრის თეკლა მელაძის გამოფენა;

24 სექტემბერს შემოქმედებითმა სახლმა აღნიშნა ფილმის „ღიმილის ბიჭების“ 50 წლისთავი, ამავე დღეს გაიხსნა რეზო ჩხეიძის კლუბი. მოწვეულ იქნენ მეუფე დანიელი, მეუფე კალისტრატე, ბატონი გურამ დოჩანაშვილი, გურამ ოდიშარია, გრიშა ჩიგოგიძე, ვანო ჯაფარიძე, ერეკლე საღლიანი, ნიკა ხომასურიძე, დავით ყალიჩავა, გოჩა არონიშიძე, ფოთის ვიცე მერი გიორგი ფარეშიშვილი, იმერეთის გუბერნატორი შავლეგ ტაბატაძე, საქართველოს რეგიონული მართვის მიმართულების ხელმძღვანელი სოზარ სუბარი, ქუთაისის ინტელიგენცია.

13 ოქტომბერს კლუბის ფორმატით კინოთეატრ „საქართველოში“ მოეწყო აკადემიკოს არნოლდ გეგეჭკორის წიგნის „ეს არის საქართველოს“ პრეზენტაცია. მოწვეული იყვნენ ავტორი, აკადემიკოსი რეზო ბალანჩივაძე, რეზო სულავა და ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ – მასწავლებლები.

21 ნოემბერს, ასევე, კლუბის ფორმატით მოეწყო შეხვედრა თბილისის „დინამოსა“ და ქუთაისის „ტორპედოს“ ვეტერან ფეხბურთელებთან. მათთან ერთად ჩამოსული იყო ლეგენდარული კომენტატორი ჯამლეთ ხუხაშვილი, ღონისძიებას დაესწრო იმერეთის გუბერნატორი შავლეგ ტაბატაძე, საქართველოს განათლებისა, კულტურისა და სპორტის მინისტრი ბატონი მიხეილ ბატიაშვილი.

2019 წელი

31 იანვარს კლუბის ინიციატივით ქუთაისის ოპერის თეატრში ჩატარდა გურამ ოდიშარიას შემოქმედებითი საღამო, რომელსაც ესწრებოდა აფხაზეთის მთავრობა და სხვა საპატიო სტუმრები.

13 მარტს რეზო ჩხეიძის შემოქმედებით სახლში „ჯარისკაცის მამა“ სამუშაო შეხვედრა შედგა, შემოქმედებითი სახლის ხელმძღვანელმა წლის ანგარიში და სამომავლო გეგმები წარადგინა გაერთიანების წარმომადგენლობის წინაშე.

5 აპრილს 17 საათზე კინოთეატრ „საქართველოში“, „რეზო ჩხეიძის დარბაზში“ ჩატარდა შემოქმედებითი სახლის „ჯარისკაცის მამის“ რეაბილიტაციის პროექტის პრეზენტაცია და ნაჩვენები იქნა ბიოგრაფიული ფილმი, გადაღებული ქალაქ ქუთაისში ბატონი რეზო ჩხეიძის მოგონებანი – „ის რაც მახსოვს“.

18 აპრილს შემოქმედებითი სახლის და მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის მხარდაჭერით ჩატარდა საქველმოქმედო სპექტაკლი ჯუზეპე ვერდის „ტრავიატა“, რომელიც გაიმართა თეატრის წამყვანი სოლისტის – ბარიტონის – რობიზონ ლიპართეიშვილის მხარდასაჭერად.

გვირილობის დღესასწაულზე 2 მაისს, ტრადიციულად აირჩიეს ქალაქ ქუთაისის საპატიო მოქალაქეები, მათი და გვირილობის დღესასწაულთან დაკავშირებით ჩამოსული და ადგილობრივი სტუმრების საპატივცემულოდ „რეზო ჩხეიძის კლუბის“ ფორმატში გაიმართა საზეიმო შეხვედრა შემოქმედებით სახლში „ჯარისკაცის მამა“.

12 მაისს შემოქმედებით სახლს სტუმრობდა მიხეილ თუმანიშვილის კინომსახიობთა სახელმწიფო თეატრის დასი.

18 მაისს „ღამე მუზეუმში“ – პროექტის ფარგლებში შემოქმედებითმა სახლმა უმასპინძლა ვიზიტორებს.

ბოტანიკურ ბაღი

ბოტანიკური ბაღი კლასიკური განმარტებით სამეცნიერო–კვლევით, სასწავლო–აღმზრდელობით და კულტურულ–საგანმანათლებლო დაწესებულებას წარმოადგენს. ქუთაისის ბოტანიკურ ბაღში ჩატარებული და მიმდინარე სამუშაოების შესრულება, სწორედ ბოტანიკური ბაღის ძირითადი ფუნქციებისა და მიზნებისაგან გამომდინარეობდა.

ბოტანიკურ ბაღში სამეცნიერო მუშაობას 6 მეცნიერ–თანამშრომელი აწარმოებს. მათი საკვლევი თემების თემატიკა თანამედროვეობის ისეთ აქტუალურ საკითხებს მოიცავს, როგორიცაა იშვიათი და გადაშენებადი სახეობების შესწავლა, ქუთაისის შემოგარენის სამკურნალო მცენარეები, ველური ბალახოვანი ფლორის ბიომრავალფეროვნება და სხვა. გარდა აღნიშნულისა, მიმდინარე წელს, ინტენსიურად მიმდინარეობდა ბოტანიკური ბაღის კოლექციების გამდიდრება ახალი სახეობებითა და ფორმებით. 2019 წლის იანვრიდან მაისის ჩათვლით ბოტანიკური ბაღის მერქნიან მცენარეთა კოლექცია გამდიდრდა 23 ახალი სახეობითა და ჰორტიკულტურით, ასევე, გაიზარდა ბალახოვან–ყვავილოვან მცენარეთა ინტროდუცირებულ სახეობათა რიცხვი 11 ახალი სახეობით. აღსანიშნავია, რომ მცენარეთა ეს რაოდენობა ინტროდუქციის თვალსაზრისით იმდენად მნიშვნელოვანი ციფრია, რომ ბოლო ათწლეულის განმავლობაში პირველად იქნა დაფიქსირებული.

აღნიშნულის პარალელურად ბაღში მიმდინარეობს საჰერბარო მასალის აღება და კოლექციების ჰერბარიზაცია, ასევე, მცენარეთა სახეობრივი შემადგენლობის დაზუსტებისა და ეტიკეტირების სამუშაოები და სხვა.

სამეურნეო სამუშაოების დროულად ჩატარებისათვის მიმდინარე წელს შეძენილ იქნა ერთი გაზონის სათიბელა, ორი ბენზოცელი და სხვა სამეურნეო ინვენტარი, რომელიც ბოტანიკური ბაღის სპეციფიკიდან გამომდინარე სხვადასხვა სახის სამუშაოების ჩატარებისათვის არის საჭირო.

ბოტანიკურ ბაღს გააჩნია მცირე ზომის სანერგე მეურნეობა, სადაც მწვანე მშენებობისათვის გამოსაყენებელი ნერგების გამოყვანა ხდება. ამ სანერგეში წინა წლებში მიღებული ნერგების დაახლოებით 10% თვით ბაღში დაირგო, დანარჩენი კი მოთხოვნისამებრ ქალაქის სხვადასხვა მუნიციპალიტეტსა და სხვა ორგანიზაციებზე გაიცა. ასეთი ნერგები იყო: ტუია, ცაცხვი, კვიპაროსი, ნეკერჩხალი, კვიდო, ხეტუხტი და სხვა. მიმდინარე წელს კვლავ განახლდა მცენარეთა გამრავლების სამუშაოები, დაკალმდა კოლხური ბზის კალმები, დაითესა ტუია, მიღებულ იქნა კვიპაროსის სვეტისებრი ფორმის 200 ძირი ნერგი. მიმდინაროებს მუშაობა იშვიათი და ძნელადგასახარებელი სახეობების გამრავლებისათვის, როგორც დაკალმებით, ასევე თესლით.

2019 წელს ინტენსიური მუშაობა ჩატარდა ერთწლოვანი და მრავალწლოვანი დეკორაციული ბალახოვან–ყვავილოვანი მცენარეების სარგავი მასალის მისაღებად და საკოლექციო ნაკვეთის მოსაწყობად.

ამ პერიოდისათვის ბაღში მთლიანად არის ჩატარებული მცენარეთა მოვლითი ღონისძიებების სამუშაოები: გაცელვა, გამოხელვა, გასხვლა–ფორმირება, მორწყვა და სხვა. მიმდინარეობს ძელსკამების გადაღებვისა და სხვა დეკორაციული კუთხეების განახლების სამუშაოები.

2019 წლის 5 თვის მონაცემებით წინა წლებთან შედარებით განსაკუთრებით გაიზარდა ბოტანიკურ ბაღში შემომსვლელ ვიზიტორთა რიცხვი, მათ შორის გაიზარდა უცხოელ ვიზიტორთა რაოდენობაც. სულ იანვრიდან მაისის ჩათვლით ბაღს სტუმრობდა 2500–ზე მეტი უცხოელი ტურისტი, ხოლო შემოსავალმა 12 293 ლარი შეადგინა.

მიმდინარე წელს ბოტანიკურ ბაღში განახლდა არსებული ვიდეოთვლების ტექნიკური მაჩვენებლები, შეიცვალა ყველა კაბელი და ვიდეოთვალი, ამავე დროს არსებულს დაემატა რამდენიმე ახალი ვიდეოთვალი, რომელიც აუცილებელი იყო და უფრო მობილურს გახდის ბოტანიკური ბაღის საქმიანობას.

მოსწავლე–ახალგაზრდობის პარკი

შეიცვალა ღია სცენის დაზიანებული კარი ახლით.

მოიჭრა პარკის ტერიტორიაზე გამხმარი ხეები, დაზიანებული და გამხმარი ტოტები.

შეთეთრდა ხეები კირით.

ძელსკამებზე შეიცვალა დაზიანებული ხის ძელაკები ახლით.

დაიდგა 7 ახალი ვიდეო კამერა.

პარკის მთლიანი ტერიტორია შეიწამლა ქვეწარმავლების საწინააღმდეგო პრეპარატებით.

დაიდგა ახალი სანაგვე ყუთები.

გაიწმინდა და მოწესრიგდა სანიტარული კვანძი.

მიმდინარეობს ბავშვთა ქალაქში არსებული საბავშვო ატრაქციონის პერიოდული დასუფთავება, მოწესრიგება.

შეიწამლა ნარგავები: ჭანჭყატები, დაფნები, ხე–მცენარეები – ობის საწინააღმდეგო პრეპარატით.

გაიკრიჭა დეკორატიული დაფნის ბუჩქები.

ყოველდღიურად ირწყვება ჭანჭყატები და დეკორატიული ყვავილები.

ითიბება პარკის მთლიანი ტერიტორია.

მოსწავლე–ახალგაზრდობის პარკის ლიტერატურულ სარდაფში ჩატარებული ღონისძიებები – 2019 წელი

11 იანვარი – შეხვედრა პოეტ ზვიად მეფარიძესთან.

29 მარტი – შეხვედრა მწერალ ზაალ ებანოიძესთან.

18 მაისი – ჩოხატაურის სამრევლო სკოლა.

24 მაისი – შეხვედრა პოეტებთან: მაიკო მიქაია და ედუარდ უგულავა.

7 მაისი – შეხვედრა პოეტებთან: ეთერ თათარაიძე, როსტომ ჩხეიძე, იოსებ ჭუმბურიძე, ამირან არაბული.

კულტურის ცენტრი

1–2–3 იანვარი – ახალი 2019 წლის დადგომა პატარებს ტრადიციულად მიულოცა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიამ. ჩატარდა „ნიღბების თეატრის“ საახალწლო წარმოდგენა და დარიგდა საახალწლო საჩუქრები.

28 თებერვალი – ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, საქველმოქმედო ორგანიზაციის „მძიმე ჯვარის“ ორგანიზებით ჩატარდა საქველმოქმედო კონცერტი 21 წლის ფოტოგრაფი გიორგი კალიევის მხარდასაჭერად. ასევე, კულტურის ცენტრის ფოიეში მოეწყო ხელნაკეთი ნივთების გამოფენა–გაყიდვა.

18 მარტი – № 17 საჯარო სკოლის IV კლასის მოსწავლეთა მონაწილეობით ჩატარდა სპექტაკლი, „პატარა პრინცი“.

21 მარტი – ა(ა)იპ „ქალაქ ქუთაისის კელტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანების“ ორგანიზებით ჩატარდა ნიღბების თეატრის საქველმოქმედო სპექტაკლი „ზღაპრული შოუ“, რომელიც მოეწყო დაუნის სინდრომის მქონე პატარებისათვის. პატარები გაახარეს და გაახალისეს ზღაპრული გმირების წარმოდგენით, ფერადი ბუშტებით და „მაკნატუნას“ საჩუქრებით.

3 აპრილი – ჩატარდა საქველმოქმედო ფოლკლორული საღამო, ცაგერის რაიონის სოფელ ოყურეშში მშენებარე წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის მშენებლობის დასახმარებლად. წარმოდგენილი იყო ქართული გალობისა და სიმღერის უძველესი ნიმუშები. გაიმართა ფერწერული ნამუშევრების გამოფენა–გაყიდვა.

10 აპრილი – ჩატარდა ნ.ნიკოლაძის სახელობის სკოლა–ლიცეუმის IV^{ბ} კლასის ღონისძიება. გურამ პეტრიაშვილის მოთხრობების მიხედვით შექმნილი სპექტაკლი „პატარა ქალაქის ზღაპრები“.

2 მაისი – თეატრალური სახელოსნო „BRAVO“, მონაწილეობდნენ თეატრალური სახელოსნოს მოსწავლეები. აჩვენეს სპექტაკლი „ნაცარქექია“.

6 მაისი – № 17 საჯარო სკოლის მე-4 კლასი გამოსაშვები ღონისძიებით წარსდგა კულტურის ცენტრის სცენაზე.

20 მაისი – ჩატარდა № 14 საჯარო სკოლის დამამთავრებელი კლასის მოსწავლეების ბოლო ზარი.

23 მაისი – ჩატარდა № 24 საჯარო სკოლის პირველკლასელთა ბოლო ზარი.

23 მაისი – ორგანიზება გაუკეთდა ფიზიკა–მათემატიკის სკოლის პირველკლასელთა სტუმრობას კულტურის ცენტრში ნიღბების თეატრის სპექტაკლის „წითელქუდას“ სანახავად.

27 მაისი – ჩატარდა № 9 საჯარო სკოლის მე–4 კლასელთა ბოლო ზარი.

28 მაისი – ჩატარდა № 24 საჯარო სკოლის 1-ლი კლასის ღონისძიება „მოსწავლეები დედაენის ფურცლებში მოგზაურობენ“.

28 მაისი – ჩატარდა № 26 საჯარო სკოლის 1-ლი კლასის მოსწავლეთა კონცერტი.

29 მაისი – ჩატარდა № 5 საჯარო სკოლის მე–6 კლასის აღსაზრდელების გამოსაშვები საღამო.

30–31 მაისი – ჩატარდა „ხარ თუ არა მე-6 კლასელზე ჭკვიანის“ კასტინგი (საზოგადოებრივი მაუწყებლის პროექტი).

ივნისი – მოეწყო ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილი საქველმოქმედო კონცერტი და ნიღბების თეატრის სპექტაკლი „წითელქუდა“ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისათვის.

3 ივნისი – ჩატარდა № 17 საჯარო სკოლის მე-4 კლასელთა ბოლო ზარი.

5 ივნისი – ჩატარდა № 19 საჯარო სკოლის მე-4 კლასელთა ბოლო ზარი.

5 ივნისი – ჩატარდა № 17 საჯარო სკოლის ბოლო ზარი.

6 ივნისი – ჩატარდა №37 საჯარო სკოლის თეატრალური დასის სპექტაკლი „მე ვხედავ მზეს“ (რეჟისორი ტატო პატარიძე).

10 ივნისი – ჩატარდა საერთაშორისო ფესტივალის „თეატრალური იმერეთის“ ფარგლებში ნიღბების სპექტაკლი „პეპი გრძელი წინდა“.

10 ივნისი – იმერეთის რწმუნებულის ადმინისტრაციის მხარდაჭერით ჩატარდა საქველმოქმედო სპექტაკლი „პეპი გრძელი წინდა“. ესწრებოდნენ იმერეთის რეგიონის სოციალურად გაჭირვებული ოჯახების ბავშვები.

10 ივნისი – მოეწყო 22-ე საჯარო სკოლის მოსწავლეების ხელოვნების ნამუშევრების გამოფენა.

12 ივნისი – ჩატარდა № 9 საჯარო სკოლის ბოლო ზარი.

კულტურის ცენტრის შენობაში განთავსებულია ნიღბების თეატრი, რომლის სპექტაკლები ტარდება ყოველ სამშაბათს, ოთხშაბათს და ხუთშაბათს სეზონის გახსნიდან დამთავრებამდე.

განათლების ღონისძიებები

ქართული ენის დღე – კალიგრაფიის კონკურსი, გამარჯვებულების ფულადი დაჯილდოება, საუკეთესო ხელნაწერების გამოფენის მოწყობა.

2018 წელი 4 აპრილი

ქართული ანბანისა და ქართული კალიგრაფიის პოპულარიზაციის მიზნით ჩატარდა კალიგრაფიის კონკურსი, რომელიც მეხუთე წელია იმართება. კონკურსის ორგანიზატორია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეული – კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილება. კონკურსის ჩატარება უზრუნველყო ა(ა)იპ „ქალაქ ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანების” განათლების განყოფილებამ.

2018 წელს კალიგრაფიის კონკურსში მონაწილეობდა საჯარო და კერძო სკოლების მე–9 – მე–11 კლასის მოსწავლეები და მასწავლებლები. სულ – 150 მონაწილე (ფულადი ჯილდო გადაეცა – 5 მასწავლებელს და 5 მოსწავლეს).

14 აპრილს დედაენის ძეგლთან მოხდა გამარჯვებულების დაჯილდოება და საუკეთესო ნამუშევრების გამოფენა.

მასწავლებლის დღესთან დაკავშირებით ღვაწლმოსილი და წარმატებული პედაგოგების დაჯილდოება

ჩვენს ქალაქში განათლების სფერო ოდითგანვე ითვლებოდა ერთ–ერთ პრიორიტეტად. გვყავს უძლიერესი პედაგოგები. სწორედ მათი ღვაწლია, რომ ჩვენი ქალაქიდან არის ბევრი წარმატებული ადამიანი.

2018 წლის 5 ოქტომბერს, ტრადიციულად, ქუთაისში მასწავლებლის დღე აღინიშნა. ღონისძიების ორგანიზატორია – ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილება, ხოლო ჩატარება უზრუნველყო ა(ა)იპ „ქალაქ ქუთაისის კულტურულ დაწესებულებათა გაერთიანებამ“. ოცდათვრამეტე საჯარო სკოლის წარმატებულ მასწავლებელს, ოცდაჩვიდმეტი ბაგა–ბაღისა და 9 კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანების პედაგოგებს ფულადი ჯილდო გადაეცათ. ასევე, დაჯილდოვდა 11 ღვაწლმოსილი მასწავლებელი. აქედან, 4–ს სამკერდე ნიშანი „ამაგდარი“ გადაეცა.

„ეტალონი“ – შესარჩევი ტური (2018 წლის 17 ოქტომბერი)

ქუთაისის ორმოცდახუთ საჯარო და კერძო სკოლაში (მათ შორის: 37 საჯარო და 8 კერძო) „ეტალონის“ შესარჩევი ტური ჩატარდა. რომელსაც აკვირდებოდნენ ა(ა)იპ „ქალაქ ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანების“ სპეციალისტები. აღსანიშნავია, ტესტირებაში ქუთაისის საჯარო და კერძო სკოლების უფროსკლასელ მოსწავლეთა მაქსიმალური ჩართულობა. ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ ტესტირების დღეს დამატებით, განსაზღვრულზე მეტმა გამოთქვა მონაწილეობის სურვილი (სულ დაემატა 14 მოსწავლე). ასეთი ჩართულობები განაპირობებს მოსწავლეთა შორის ნიჭიერების აღმოჩენას, წარმოჩენას და წახალისებას. ასეთი აქტივობები უწყობს ხელს სწავლისადმი მეტად მოტივირებას და დადებითად განწყობას, გახდნენ საქართველოს ეროვნულ ინტელექტ–ჩემპიონატის ნახევარფინალის მონაწილე.

2018 წლის 8 ნოემბერს ჩატარდა მედია–პროექტი „ეტალონი“ – ქუთაისის „ეტალონი“ მოსწავლის გამოსავლენი ინტელექტ–თამაში, რომელშიც მონაწილეობა მიიღო შიგა სასკოლო შერჩევის შედეგად გამოვლენილმა 72–მა მოსწავლემ.

ქუთაისის „ეტალონი“ 2018–2019 სასწავლო წლის მოსწავლე გახდა N12 საჯარო სკოლის მეათე კლასის მოსწავლე მარიამ სირბილაძე, რომელიც 2019 წლის 29 ივლისს თბილისში, „ეტალონის“ ფინალში მიიღებს მონაწილეობას. ამავე დღეს „ეტალონის“ შემოქმედებითმა ჯგუფმა „2017–2018 სასწავლო წლის ეტალონ მოსწავლეს“, საქართველოს ნახევარფინალის გამარჯვებულს, №31 საჯარო სკოლის მეთორმეტეკლასელს დემეტრე ჯავახაძეს სკოლის ღირსეული წარმოჩენისათვის, პროექტ „ეტალონის“ ავტორმა „ოქროს ფონდის“ წევრობის დამადასტურებელი დიპლომი გადასცა. მის მშობლიურ №31 საჯარო სკოლას (დირექტორი ირმა შველიძე) კი, დიპლომი „ეტალონი მოსწავლის“ აღზრდისათვის.

კონკურსი „თავისუფალი თემა“ (2018 წლის დეკემბერი)

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გამოცხადებული კონკურსისათვის, „თავისუფალი თემა“ – ბლოგების შექმნა, ქალაქის საჯარო სკოლების მოსწავლეებმა მოიკვლიეს საინტერესო ისტორიები, ჩამოაყალიბეს საკუთარი ხედვა და ყველაფერი ეს ბლოგის სახით წარმოადგინეს. კომისიაზე ბლოგების ავტორებმა თავად გააკეთეს საკუთარი ნამუშევრების პრეზენტაცია.

კონკურსის მიზანი იყო მოსწავლეთა განათლების ხარისხის ამაღლება, მოკვლეული, მრავალფეროვანი აქტივობებით ლიდერების აღმოჩენა და მათში ისეთი უნარების განვითარება, რაც ახალგაზრდებს შემდგომ ცხოვრებისეულ სარბიელზე წარმატების მისაღწევად გამოცდილებას შეძენს. მოზარდები ადგენდნენ სამუშაო გეგმას, იძიებდნენ საჭირო რესურსს, ხვდებოდნენ მოსახლეობას.

2018 წლის 21 დეკემბერს, დროებითი კომისიის მიერ (მერის ბრძანება №1074 17.05.2018) გამოვლინდა 3 (სამი) გამარჯვებული ბლოგი:

I ადგილი – №29 საჯარო სკოლა – 500 (ხუთასი) ლარი;

II ადგილი – №1 საჯარო სკოლა – 400 (ოთხასი) ლარი;

III ადგილი – №19 საჯარო სკოლა – 300 (სამასი) ლარი.

ასევე, ფულადი თანხით დაჯილდოვდნენ დროებითი კომისიის მიერ შერჩეული აქტიური ჯგუფები: №6, №7 და №23 საჯარო სკოლა (თითოეული ჯგუფი 100 ლარით).

კონკურსი „ქართული ხელნაწერი“ (05.04.2019 წელი)

ქუთაისში ქართული კალიგრაფიული ხელოვნებისა და ანბანის პოპულარიზაციის მიზნით, კონკურსი „ქართული ხელნაწერი“ ჩატარდა, რომელშიც კერძო და საჯარო სკოლების VII – XII კლასის მოსწავლეები მონაწილეობდნენ. კონკურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, მასში ჩაერთნენ პედაგოგები და დირექტორები.

კონკურსის ორგანიზატორი იყო ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეული – კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილება, ხოლო კონკურსის ჩატარება უზრუნველყო ა(ა)იპ „ქალაქ ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანების“ განათლების განყოფილებამ.

მემორიალური დაფის გახსნა

კალიგრაფისტების დაჯილდოება (14.04.2019 წელი)

14 აპრილს ოთარ ქანდარიას საცხოვრებელი სახლის კედელზე მემორიალური დაფა გაიხსნა. იმავე დღეს მოხდა კონკურსში „ქართული ხელნაწერი“ გამარჯვებულების დაჯილდოება.

ღონისძიება ცნობილი ქუთაისელი მხატვრის, ოთარ ქანდარიას სახელოსნოში გაიმართა. საპრიზო ადგილის მფლობელებს სერთიფიკატები და ფულადი ჯილდოები გადაეცათ: I ადგილი – 300 ლარი; II ადგილი – 250 ლარი; III ადგილი – 200 ლარი; „ჟიურის სიმპატია“ – 150 ლარი.

I ადგილი – მაკა ბარდაველიძე – №1 საჯარო სკოლა–მასწავლებელი;

II ადგილი – ნანა ლეჟავა – მ.ჭოხონელიძის საავტორო სკოლა–მასწავლებელი;

III ადგილი – ქეთევან მინდიაშვილი – მ.ჭოხონელიძის საავტორო სკოლა – მასწავლებელი;

I ადგილი – თორნიკე კოპალიანი – კადეტთა სამხედრო ლიცეუმის მოსწავლე;

II ადგილი – მარიამ ტეფნაძე – №15 საჯარო სკოლის მოსწავლე;

III ადგილი – რიმა მაჭარაშვილი – №24 საჯარო სკოლის მოსწავლე.

ჟიურის სიმპატია:

მაკა კობახიძე – მ.ჭოხონელიძის საავტორო სკოლა – მასწავლებელი ინგა ტორჩინავა, მე-10 საჯარო სკოლის მასწავლებელი; ანანო ლორია – №37 საჯარო სკოლის მოსწავლე; ქეთევან ინასარიძე – №32 საჯარო სკოლის მოსწავლე; ასევე, ამათ გარდა დიპლომებით დაჯილდოვდა კონკურსის 20 მონაწილე. ხოლო, სამი კონკურსანტი „საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის“ რჩეული გახდა და სპეციალური საჩუქრები გადაეცათ. ოთარ ქანდარიას სპეციალური პრიზი კი გამარჯვებულს ხელოვანის შვილმა გადასცა.

კალიგრაფიის მასტერკლასი

ვერიკოს სახელობის სკვერში (26.05.2019 წელი)

მასტერკლასი ვერიკოს სახელობის სკვერში სხვა აქტივობებთან ერთად მთელი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა. მასში ჩართული იყვნენ ქუთაისის საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეები. ასევე, ანბანის ადგილზე დახატვა და აქტივობაში ჩართვა რიგით მოქალაქეებსაც შეეძლოთ. კალიგრაფიის მასტერკლასი გაერთიანების განათლების განყოფილების კურირებით ჩატარდა.

02.04.2019 წელს №1 საჯარო სკოლაში ჩატარდა ილუსტრაციების კონკურსი. მონაწილეობდნენ კერძო და საჯარო სკოლების ხატვის ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეები. გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ საზეიმო ვითარებაში დიპლომებით და ფასიანი საჩუქრებით. კონკურსი ჩაატარა განათლების განყოფილებამ.

06.05.2019 წელს №1 საჯარო სკოლაში განათლების განყოფილებამ ჩაატარა საქალაქო ვიქტორინა–კონკურსი „ქუთაისის მემატიანე“ ნიკო ნიკოლაძის სახელობის სკოლა ლიცეუმთან ერთად. გამარჯვებულებს გადაეცათ სიგელები.

22.04. – 03.05.2019 წელს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის – კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილების ორგანიზებით გაერთიანების განათლების განყოფილებამ უზრუნველყო მოსწავლეთა შემოქმედებითი ოლიმპიადის ჩატარება. კომპეტენტური ჟიურის მიერ სხვადასხვა ჟანრში გამოვლინდა გამარჯვებულები, რომელთაც გადაეცათ ფულადი ჯილდო.

შენიშვნა: წინამდებარე ინფორმაცია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 21-ე სხდომაზე, 2019 წლის 26 ივნისს წარმოადგინა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „ქალაქ ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანების“ დირექტორმა, ვაჟა ჟუღელმა.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე,
საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის
შემსრულებელი ირაკლი შენგელია